# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 25 იანვარი 2005 №14 (2337) ფასი 50 თეთრი





## ლენოქს ლუისი ბრუნდება

ოცდაათი მილიონი და მეტი

15

# არ მინდა, ყველაფერი ჩემგან ითქვას

## რეინჯერსის ირიბი ულტიმატუმი

ორი ტურია, ზურაბ ხიზანიშვილი „რეინჯერსის“ ძირითად შემადგენლობაში არ გამოჩენილა, ბოლოს, „აბერდინთან“ სათადარიგოებშიც კი არ იყო. სწორედ ამ პერიოდში ხიზანიშვილის აგენტ ივან ბენეშის ვაჟი მარკო მოლაპარაკებას აწარმოებდა „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობასთან — „ჩაფრებს“ ზურასთან კონტრაქტის გაგრძელება სურთ, მაგრამ მხარეები პირობებზე ჯერ ვერ თანხმდებიან და ხიზანიშვილსაც ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ.

— მეც ვფიქრობ იმაზე, რომ ჩემი უთამაშებლობა კონტრაქტის საკითხს უკავშირდება, მაგრამ ამის გადაჭრით თქმა არ მსურს. ივან ბენეშმა დამირეკა და მითხრა, „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობას ტელეფონით დაველაპარაკებიო და მეც ვუცდი.

— გასაგებია, მაგრამ შენი უთამაშებლობის მიზეზი ადრე თუ გვიან ხომ მაინც უნდა ითქვას?

— მიჯობს, მიზეზი „რეინჯერსმა“ თქვას, მე ჯანზე ვარ და თამაში შემიძლია.

— ახალი კონტრაქტის ვადაზე ვერ თანხმდებით თუ პირობებზე?

— ვადა პრობლემა არ არის, ერთი-ორი წელი აქეთ იქნება თუ იქით, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. უთანხმოების მიზეზი ფულია — თუ ახალ კონტრაქტს მთავაზობენ, ახალი პირობებიც უნდა შემომთავაზონ.

— ეროვნული გუნდის წევრი ხარ და შენი უთამაშებლობა ნაკრებისთვის ძალიან მტკივნეულია...

— თუ ამის გამო „რეინჯერსის“ პირობებს დავთანხმდები, როგორც პროფესიონალი მართალი არ ვიქნები. ორ-სამ მატჩს თუ გამოვტოვებ, ეგ არაფერია, მაგრამ თუ უთამაშებლობა გამიგრძელდა, აჯობებს, ნაკრებში სხვამ ითამაშოს.

— ახლახან „რეინჯერსიდან“ ძირითადი შემადგენლობის ორი მცველი წავიდა — კრეიგ მური „გლადბახში“ და ჟანალენ ბემსინგი „ნიუკასლში“ — კონკურენციის გამო შენი ძირითადში ვერმოხვედრა, ფაქტობრივად, გამორიცხულია...

— არ მინდა, რომ ყველაფერი ეს ჩემგან ითქვას.




— შოტლანდიელ ჟურნალისტებს რომ უთხრა ყველაფერი, უკეთესობისკენ არ წავა საქმე?

თუ რას იტყვის აქაური მასმედია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მედიის აზრს აქ ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ ჩემი პრობლემის შესახებ ჟურნალისტებთან ლაპარაკი არ მინდა, მირჩევნია, „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობას პირისპირ ველაპარაკო.

**დავით თავართქილაძე**

# უცნობი საქართველო: ჩადრიანი GEORGIA

გუშინ „როიტერის“ მიერ მთელ მსოფლიოში გავრცელებულ უთვალავ ფოტოთა შორის ასეთიც ერია: ჩადროსნებს მოუძღვის აბრა GEORGIA, მის უკან კი ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებს.

ამ ფრიად უცნაური ფოტოს „როიტერისეული“ შინაარსი ასეთია: თეირანში გაიხსნა ისლამურ დედაქალაქთა და აზიის ქვეყნების ქალთა სპორტული თამაშები.

რა აზია, რის ისლამი, რა ქალები, რის შეჯიბრი? ჩვენთვის ფოტო თავისი განმარტებითურთ მაინც გაუგებარი დარჩა.

მივმართეთ სპორტის დეპარტამენტს და პასუხის მაგიერ იქიდანაც იგივე კითხვები მივიღეთ, ჩვენვე რომ დავუსვით საკუთარ თავს.

მივმართეთ საქართველოს საელჩოს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში და იქიდანაც — გაკვირვება პასუხის მაგიერ.

არადა, ფაქტი ფოტოზეა!

სპორტის დეპარტამენტში და საქართველოს საელჩოში დაგვპირდნენ, რომ აუცილებლად გაარკვევენ და შეგვატყობინებენ: ვინ, რატომ, რანაირად.




REUTERS

# კობიაშვილმა ჩემპიონობა თქვა
## ვინ არის ბაიერნზე ნაკლები?!

*გელზენკირხენის „შალკემ“ ბუნდესლიგა ჩემპიონ „ვერდერის“ ძლევით განაახლა. ჩვენიანი ლევან კობიაშვილი კი, როგორც აქამდე, თავის გუნდში ამჯერადაც ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მატჩის ტელერეპორტაჟს თუ უცქირეთ, იმ ეპიზოდსაც ნახავდით, როცა „ვერდერის“ მცველებმა საჯარიმოში კობიაშვილი წააქციეს და მსაჯმა აშკარა პენალტს წაუყრუა. არადა, ანგარიში 1:1 იყო და „შალკეს“ საქმის მომთავრება აილტონის მეორე გოლამდეც შეეძლო*



„ნამატჩევს მსაჯმა კარხერმა თავადაც თქვა, როცა კობიაშვილი წააქციეს, შემეძლო პენალტის დანიშვნა. მაგრამ ვეღარ გავრისკე, ანგარიში 1:1 იყო და ჩემს გადაწყვეტილებას შეიძლებოდა არეულობა მოჰყოლოდა. თუმც არა უშავს, მსაჯიც შეიძლება შეცდეს, მთავარია, მოვიგეთ და ჩვენი საქმე გავაკეთეთ, მნიშვნელოვანი სამი ქულა ავიღეთ“ — გვითხრა ლევან კობიაშვილმა.

არადა, „შალკეს“ ძალიან გაუჭირდა ჩემპიონის დამარცხება. იყო პერიოდი, თამაში „ვერდერის“ მიჰყავდა და არავის გაუკვირდებოდა, „აუფ შალკეზე“ მოგებული სტუმრები რომ დარჩენილიყვნენ.

„პირველ ტაიმში ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც გვსურდა და რასაც ქომაგია ნაჩვევი. ერთთვიანი შესვენების შემდეგ პირველი მატჩი იყო და თავიდანვე მობილიზება გაგვიჭირდა. მეორე ტაიმში კი ჩვენი ძალა გამოვაჩინეთ. შესვენებაზე მწვრთნელმაც აგვიხსნა, უკეთ როგორ გვეთამაშა და სასურველი შედეგიც მივიღეთ. თანაც ასამოამ პირველი გოლი თამაშის განახლებისთანავე გაიტანა, რაც ფსიქოლოგიურადაც წაგვეხმარა“.

ამასობაში კი გერმანიაში უფრო გახშირდა „შალკეს“ საჩემპიონო შანსებზე ლაპარაკი. თუ სეზონის დაწყებამდე ჩვენიანის გუნდს ბუნდესლიგის ფავორიტთა შორის არავინ ასახელებდა, ახლა „შალკეს“ „ბაიერნთან“ ერთად ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატად მიიჩნევენ. თან ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც: უკვე „შალკეს“ ფეხბურთელებსაც სჯერათ თავიანთი ძალის და საჩემპიონო ბრძოლისთვის არიან განწყობილნი. პირველი წრის ბოლოს კი შალკელები პირველობას „ბაიერნს“ უწინასწარმეტყველებდნენ.

„რწმენა დღითიდღე გვიძლიერდება და ვფიქრობთ, ჩემპიონობა რეალურად შეგვიძლია. რითი არის „შალკე“ „ბაიერნზე“ ნაკლები?! „ბაიერნი“ არ იყო, პირველ წრეში მიუნხენში რომ დავამარცხეთ?! ორიოსამი წლის წინ „ბაიერნს“ მართლაც ვერ შევედრებოდით, მაგრამ ახლა, მგონი, ერთ დონეზე ვართ. მიუნხენელებზე ნაკლები ფეხბურთელები არც ჩვენ გვყავს და მატჩიდან მატჩამდე ვამტკიცებთ, მათთან ტოლ-სწორად თამაში რომ შეგვიძლია. თანაც, გერმანიაში „ბაიერნზე“ მეტად უკვე ჩვენი ჩემპიონობისა სჯერათ“.

კი მაგრამ, „შტუტგარტი“? მათიას ზამერის გუნდი ჩემპიონატის ლიდერებს სულ სამი ქულით ჩამორჩება და წინ კიდევ ნახევარი სეზონია. ლევან კობიაშვილი ამბობს:

„წაფორხილების უფლება არ გვაქვს. ერთი მატჩის წაგება და „შტუტგარტი“ ქულებით გაგვითანაბრდება. ზამერს ძლიერი გუნდი ჰყავს და თან ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. ვნახოთ, რა გამოვა. საჩემპიონო ბრძოლიდან „შტუტგარტის“ ჩამოწერა არ შეიძლება. თუმც, მაინც ვფიქრობ, ჩემპიონობა ან ჩვენი, ან „ბაიერნის“ იქნება“.

დღეს კი „აუფ შალკეზე“ ბუნდესლიგის ლეგიონერებისა და გერმანიის ნაკრების საქველმოქმედო მატჩია. შემოსავალი ცუნამით დაზარალებულ სამხრეთაღმოსავლელ აზიელებს მოხმარდებათ. რჩეულ ლეგიონერთა შორის კი, გეცოდინებათ, ლევან კობიაშვილიც არის. 22 ვარსკვლავიდან ერთი ქართველია.

„რა თქმა უნდა, გასართობი მატჩი იქნება და თამაშით თავს არავინ მოიკლავს. თუმც გერმანიის ნაკრებს თავისი საქმე აქვს და ამ შეხვედრას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოიყენებს. კლინსმანმა ხომ საღდეისოდ უძლიერესი შემადგენლობა გამოიძახა. ჩვენს სტადიონზე ამ მატჩის გამართვა წმინდა ფინანსური მომენტის გათვალისწინებით გადაწყვიტეს. „აუფ შალკეზე“ ხომ ყოველთვის ანშლაგია და, შესაბამისად, შემოსავალიც მეტი იქნება. ეს თამაში საქველმოქმედოა და მოავარი მაყურებლის რაოდენობაა. პირადად ჩემთვის კი ძალიან სასიამოვნოა ვარსკვლავებს შორის რომ დამასახელეს და ვფიქრობ, მთლიანად საქართველოსთვის უნდა იყოს საამაყო, ბუნდესლიგის ლეგიონერთა შორის ქართველიც რომ ითამაშებს“.

**კობა ინასარიძე**

# ლიტვა საქართველოში სერბეთს ხედავს

**9 თებერვალს** საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩში ლიტვას უმასპინძლებს და ალენ ჟიდაუსი ბალტიისპირელთა დასახელდება შემადგენლობა რამდენიმე დღის წინ დაასახელა. ჟიდუსის სიაში რამდენიმე დებიუტანტის გვარსაც ამოიკითხავდით, რაც შესაძლოა იმასაც ნიშნავს, რომ ფრანგ მწვრთნელს ოპტიმალური სანაკრებო შემადგენლობისთვის ჯერ არ მიუგნია.

გუშინ კი ლიტველთა თავკაცმა ალგიმანტას ლიუბინსკასმაც გაახმაურა სათბილისო შემადგენლობა, რომელშიც ყველა უძლიერეს ფეხბურთელს უხმო. ლიუბინსკასის 21-კაციან სიაში 14 ლეგიონერია, რომელთაგან ყველაზე ცნობილი და გამოცდილი ედგარას იანკაუსკასია. ამ 28 წლის ფორვარდმა შარშან „პორტუს“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგა მოიგო, თუმც ისიცაა, რომ ახლა ფრანგული „ნიცას“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება უჭირს.

***მეკარეები:*** *ჟიდრუნას კარჩემარსკასი (დინამო, რუსეთი), ვიტის პადიმანსკასი (სუდუვა);*

***მცველები:*** *მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ანდრიუს სკერლა (დანფერმლაინი, შოტლანდია), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმსტადი, შვედეთი), რონალდას იაუკშტასი (მოსკოვი, რუსეთი), აურელიუს შკარბალიუსი (ჰერფიოლგე, დანია), დარიუს ჟუტაუტასი (კაუნასი), ივნას დედურა (სპარტაკი, რუსეთი);*

***ნახევარმცველები:*** *დეივიდას ჩესნაუსკისი (ლოკომოტივი, რუსეთი), ედგარას ჩესნაუსკისი (დინამო, უკრაინა), ნერიუს ბარასა (ალანია, რუსეთი), დეივიდას შემბერასი (ცსკა, რუსეთი), დონატას ვენცევიჩიუსი (ვილნიუსი), ანდრიუს ჟედგაუდასი (კაუნასი), შულიუს მიკალაიუნასი (კაუნასი), აურიმას კუჩისი (ვკრანასი);*

***თავდამსხმელები:*** *ედგარას იანკაუსკასი (ნიცა, საფრანგეთი), რობერტას პოშკუსი (კრილია, რუსეთი), ტომას დანილევიჩიუსი (ლივორნო, იტალია), ტომას რაძინევიჩიუსი (სუდუვა).*

ლიტველები თავიანთ შესარჩევ ჯგუფში ოთხი თამაშიდან რვა ქულით მეორე ადგილზე არიან, უახლოეს შესარჩევ მატჩს კი 26 მარტს სერბეთთან გამართავენ.

„სერბეთი და საქართველო თამაშის მანერით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ამიტომაც თბილისური მატჩი ჩინებული რეპეტიცია იქნება“ — ამბობს ლიტველთა თავკაცი.

**ილია ნანობაშვილი**



ლიტველთაგან ყველაზე სახელიანი ედგარას იანკაუსკასია (მარჯვნივ)



# ლადო ბურდულმა ალანია დაინახა და სოჭში იყოფის

**ლადო ბურდული** და ვლადიკავკაზის „ალანია“ შეთანხმდნენ — ქართველი ნახევარმცველი ოსურ კლუბში ითამაშებს.

ბურდულს „ალანიასთან“ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმც ეს უკვე დროის ამბავია, მთავარია, რომ ლადო ოსების წინადადებას დათანხმდა და პირობებზე მოელაპარაკა.

„ალანია“ ახლა ანთალიაშია და რუსეთის ჩემპიონატისთვის იქ ემზადება. სამკვირიან შეკრებას ბახვა თედეევის გუნდი ხვალ ამთავრებს და ვლადიკავკაზში ბრუნდება. რამდენიმე დღეში კი „ალანია“ მზადების მეორე ეტაპს სოჭში დაიწყებს, სადაც უნდა შეუერთდეს კიდეც ლადო ბურდული ახალ გუნდს. იქამდე კი, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ლადო „ალანიასთან“ კონტრაქტს გააფორმებს.

ბურდული „ალანიასთან“ ერთად ანთალიაშიც იყო და „არგენტინოს ხუნიორსთან“ ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა.

**კობა ინასარიძე**

### ინგლისი
პრემიერლიგა. XXIV ტური
ბლეკბერნი 0:1 ბოლტონი

### იტალია
სერია B. XXII ტური
კროტონე 1:1 პერუჯა
სერია C/A. XX ტური
პისტოიეზე 2:0 კრემონეზე

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXIII ტური
ლორიანი 1:2 ტრუა

### გერმანია
II ბუნდესლიგა. XVIII ტური
აინტრახტი 1:0 ალემანია

### ესპანეთი
სეგუნდადივიზიონი
XXI ტური
მალაგა B 0:0 ტერასა

### შოტლანდია
ასოციაციის თასი
1/16 ფინალი. გადათამაშება
*როსი* 4:1 ერდრი

# გახოკიძეს გურულმა უყურა
## ჯერ აიაქსი, მერე ნაკრები

*გოგა გახოკიძე ჰოლანდიის ჩემპიონატს დაუბრუნდა და ექვსთვიანი უქმობის შემდეგ თამაში განაახლა.*

*სამარის „კრილია სოვეტოვთან" ჩაშლილი კონტრაქტი და დონეცკის „მეტალურგში" მწვრთნელთან უთანხმოება — აი, მიზეზები, რის გამოც გოგა გახოკიძეს ნახევარი სეზონი გაუცდა და დაკარგულის ანაზღაურებას ახლა „ტვენტეში" თამაშით ცდილობს.*

*ხელახალი ჰოლანდიური დებიუტი კი ჩვენიანი ნახევარმცველისთვის წარმატებული გამოდგა. ამ უქმეებზე „ტვენტემ" სტუმრად „ტილბურგი" 3:0 დაამარცხა, გახოკიძემ თავი საგოლე პასით გამოიჩინა და ამასობაში საქართველოს ნაკრებშიც დაუძახეს. გოგას, გეხსომებათ, ეროვნულ გუნდში ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა*

— „ტილბურგთან" მატჩს ალენ ჟირესის თანაშემწე გია გურული ესწრებოდა და სწორედ მისგან გავიგე, რომ ნაკრებში ვარ გამოძახებული. მეორე დღეს კი ფეხბურთის ფედერაციიდან კლუბში ოფიციალური მოწვევაც მოვიდა. რა გითხრათ, მიხარია, რომ ეროვნულ გუნდს ვუბრუნდები.

**— ძველი წყენა დაივიწყე?**

— რა თქმა უნდა, იმ ამბავზე აღარც ვფიქრობ და გახსენებაც არ მინდა. რაც იყო, წარსულს ჩაბარდა. ახლა ვეცდები, ჩემი სიძლიერე დავამტკიცო და ნაკრებში ჩემი ადგილი დავიბრუნო.

**— გურულმა რაო, რაზე ისაუბრეთ?**

— მნიშვნელოვანი არაფერი გვითქვამს. მას ნამატჩევს შევხვდი და ზოგადად, ნაკრებზე ვილაპარაკეთ. ლიტვასთან თამაშის შემდეგ ვიფიქრებთ, საბერძნეთ-თურქეთთან შეხვედრებისთვის თუ გამოგვადგებიო. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს, ოფიციალურ მატჩებშიც ვითამაშო.

**— ფორმაში თუ ხარ?**

— სასურველამდე ჯერ კიდევ მიკლია, მაგრამ ახლა უკვე რეგულარულად ვითამაშებ და ძველ ფორმასაც ნელ-ნელა დავიბრუნებ. ფაქტობრივად, ექვსი თვე გამიცდა და ორი კვირის ვარჯიშით და ერთი მატჩით ძნელია ფორმის აღდგენა. თუმც თავს ვატყობ, რომ დღითიდღე ვუმატებ.

**— „ტილბურგთან" შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— მეტიც შემეძლო, თუმც უკმაყოფილო მაინც არ ვარ. ერთი საგოლე პასი გავაკეთე, ერთხელაც საგოლე შეტევა წამოვიწყე, მწვრთნელის დავალება შევასრულე და მისგან მადლობაც მივიღე.

**— მარცხენა ფლანგზე ითამაშე?**

— „ტვენტე" ოთხი მცველით და ამდენივე ნახევარმცველით თამაშობს. ჩვეულად, ფლანგზე ვიყავი, თუმც უფრო შეტევა მევალებოდა, უკან ბევრი საქმე არ მაქვს და თამაშიც შედარებით მიიოლდება. ვფიქრობ, გუნდისთვის ასე უფრო სასარგებლო ვარ.

**— წლეულს „ტვენტეს" მიზანი, ალბათ, პირველ დივიზიონში ადგილის შენარჩუნება იქნება...**

— ასეა, ოღონდ „ტილბურგთან" სტუმრად მოგებული თამაშის შემდეგ იმედი მოგვეცა, რომ ეგებ, ერთ-ერთი ევროსაგზურის მოპოვებაც შევძლოთ. მაგალითად, ინტერტოტოს გათამაშებაში მონაწილეობაზე უარს არ ვიტყოდით. 26 იანვარს პრინციპული მატჩი გვაქვს, ისევ სტუმრად, „დენ ჰააგს" ვეთამაშებით და იქაც თუ მოვიგეთ, საევროპო ამბიცია გაგვიძლიერდება. „დენ ჰააგის" შემდეგ კი ჯერ „ფეიენოორდს" ვმასპინძლობთ, მერე „აიაქსთან" ჩავდივართ. ამ ორ მატჩში სამი ქულა თუ ავიღეთ...

**— ნაკრებში როდის ჩამოხვალ?**

— „აიაქსთან" მატჩის მერე. იქამდე, იმედია, ფორმასაც ბოლომდე აღვიდგენ.

**ძოგა ინასარიძე**





გიორგი ქინქლაძე საგოლე პასებით გამოირჩა




ხვიჩა შუბითიძემ აუე-ს ქულა გადაურჩინა

# კობი გაძარცვეს!
## ცოტა გოლი და ბევრი საგოლე

**ამ უქმეების** მთავარი ამბავი ბუნდესლიგის განახლება იყო. ქართველებმაც რიხით დაიწყეს მეორე წრე და ასევე თუ გააგრძელეს, ვინძლო მაისის ბოლოს სახეებზე კმაყოფილებაც შევატყოთ.

***მეორე წრის პირველი ტურის მთავარი მატჩი გელზენკირხენში შედგა.*** „შალკემ" ბუნდესჩემპიონ „ვერდერს" უმასპინძლა და უხეირო პირველი ტაიმის მერე სამი ქულა მაინც დასცინცლა. ბრემენელებს თავიდან ყინჩად იჭირათ თავი, მაგრამ ჯერალდ ასამოას გოლმა ისინი დათრგუნა. თითქოს ამით „შალკეს" უნდა ესარგებლა... სხვაგვარად კი მოხდა — „ვერდერმა" პენალტი მოიპოვა და გაიტანა კიდეც. თითქოს ამას ელოდაო და ***ლევან კობიაშვილმაც*** აიშვა — ჩვენებური მოედნის ცენტრს დაეპატრონა, ერთ მომენტში კი საჯარიმოში შეჭრილს სარმა დაუდეს, თუმც მსაჯმა პენალტის დანიშვნისგან თავი შეიკავა და მასპინძელთა ლანძღვის მოგერიება მოუხდა — კობიაშვილი მსაჯმა გაძარცვა. მაგრამ სამართალმა მალე ჭამა პური, როცა „კობის" უზადო პასით ასამოა მეკარესთან პირისპირ გავიდა, იქვე გაჩენილ აილტონს დაუგორა და 2:1.

კობიაშვილს გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მატჩის მიწურულს ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცილა. მოკლედ, „შალკემ" მოიგო და კუდში მისდევს მიუნხენის „ბაიერნს".

***საჭირო ქულა აიღო როსტოკში „ფრაიბურგმა".*** ამ მატჩში საინტერესო ***ოთარ ხიზანეიშვილის*** დებიუტი იყო და ფრაიბურგელთა თავკაცმაც ჩვენებურს გარჯა მოუწონა. ***ალექსანდრე იაშვილი*** მწვრთნელმა 66-ე წუთზე შეცვალა, ***ლევან ცქიტიშვილს*** კი ტრავმის გამო არ უთამაშია.

***ქულა გადაურჩინა გუნდს მეორებუნდესლიგელმა ხვიჩა შუბითიძემ.*** მისი აუე თავიდანვე აგებდა „ესენთან", თუმც შეცვლაზე შესულმა შუბითიძემ 82-ე წუთზე საგოლედ მოიქნია და ანგარიში გაათანაბრა.

***წარმატებული დებიუტი ჰქონდა გოგა გახოკიძეს.*** „ტვენტემ" 3:0 მოუგო „ტილბურგს", რაშიც ჩვენებურმა ლომის წილი დაიდო. გახოკიძე „ტვენტეს" ბევრი შეტევის წამომწყები გახლდათ და ერთი საგოლე პასიც ჩაიწერა აქტივში.

***კვიპროსის ჩემპიონატში კი გიორგი ქინქლაძე გამოირჩა.*** „ანართოსისმა" 2:0 მოუგო ქვეყნის ჩემპიონ „ომონიას" და ორივე გოლი ქინქლაძის აქტიურობით გავიდა. „ანართოსისი" ისევ მეორე ადგილზეა და ორი ქულით ჩამორჩება ლიდერ აპოელ-ს.

**ძახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ლივორნო 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 9 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ვერდერი 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 18 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰანზა 0:0 | 66 | შეცვალეს | 17 | 2 | 18 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰანზა 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 1 | 18 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰანზა 0:0 | 90 | | 1 | 0 | 18 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ესენი 1:1 | 14 | შეცვლაზე ითამაშა,1 გოლი | 13 | 2 | 7 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | ობერჰაუზენი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 9 | 1 | 10 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | აბერდინი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 4 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | აბერდინი 2:1 | 0 | სათადარიგო | 14 | 0 | 2 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | ტილბურგი 3:0 | 90 | საგოლე პასი | 1 | 0 | 13 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ვაშაკიძე | არისი | შ | ქსანთი 2:1 | 0 | | 3 | 0 | 10 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | არისი 1:2 | 90 | | 14 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | ომონია 2:0 | 90 | | 14 | 5 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | შ | ომონია 2:0 | 90 | 2 საგოლე პასი | 12 | 2 | 2 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | შ | ომონია 2:0 | 45 | შეცვალეს | 15 | 4 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | ომონია 2:0 | 0 | | 3 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | ანართოსისი | შ | ომონია 2:0 | 0 | | 10 | 2 | 2 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | პაფოსი 2:2 | 90 | საგოლე პასი | 15 | 4 | 8 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | შ | აელ 2:1 | 56 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 10 | 1 | 3 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# დინამო სომეხმა დაასხივა

**თბილისის** „დინამომ“ კვიპროსული შეკრების მეორე მატჩიც წააგო.

გუშინ ჩვენების მეტოქე ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგია“ იყო, თამაში 3:2 მორჩა.

— ჩვენ საქართველოს ჩემპიონატისთვის ვემზადებით და ყველა ფეხბურთელს ვაძლევთ თავის გამოჩენის საშუალებას. ამხანაგური მატჩებიც გუნდის შესათამაშებლად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ის ფეხბურთელები, რომლებიც რომელიმე მატჩში არ ითამაშებენ, საღამოობით მთელი დატვირთვით ვარჯიშობენ ხოლმე — თქვა „ლუჩ-ენერგიასთან“ შეხვედრის შემდეგ „დინამოს“ მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ.



შოთა კაშიამ მძიმე ტრავმის მერე პირველად ითამაშა

რუსებთან თბილისელები 0:2-ს აგებდნენ. ჩვენებმა 68-ე წუთზე გიორგი ნემსაძის პენალტით გატანილი და 75-ზე ლევან ხმალაძის გოლებით ანგარიში კი გაათანაბრეს, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მესამე გოლიც მიიღეს. აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ სამივე გოლი სომეხმა ფორვარდმა სარქის ავაქიანმა გაუტანა. ჩვენებიდან კი ლევან მელქაძემ პენალტი ვერ გამოიყენა.

„დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: *მამალაძე (თოთლაძე 80), ჭელიძე, მახარაძე (შაშიაშვილი 77), კვაური, რომერო, კანდელაკი, გრიგალაშვილი (ნემსაძე 60), ხმალაძე (კაშია 78), ქუცურუა (შალამბერიძე 72), მელქაძე (ბაბუნაშვილი 60), დვალიშვილი.*

როგორც „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ გვითხრა, თბილისელები კვიპროსზე კიდევ სამ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. ჰოლანდიურ „სიტარდთან“ და რუმინულ „არჯეშთან“ თამაშები თუ ადრევე იყო დაგეგმილი, გუშინ გადაწყდა, რომ „დინამო“ 27 იანვარს კვიპროსის აელსაც გაეჯიბრება.

**ძოგა ინასარიძე**

# ცხოვრება ლატარიაა

**სამწუხარო** ფაქტია: საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა უფრო და უფრო ემსგავსება თბილისის ღია პირველობას. რეგიონებში ფეხბურთი ან აღარ არის, ან სულს ღაფავს. მეტი რა გინდათ, სამეგრელოსა და გურიაში ფეხბურთი, ფაქტობრივად, ჩამკვდარია. თვით ლანჩხუთის „გურიაც“ კი ისეთ დღეშია, უმაღლეს ლიგაში აღზევების არანაირი შანსი უახლოეს წლებში რომ არ უჩანს. უმთავრესი პრობლემა კი ყველგან ერთია: ფული, უფრო სწორად, უფულობა.

ხობის „კოლხეთი“ ერთ დროს, ეროვნული ჩემპიონატის გარიყრაუზე კარგი გუნდი იყო. უმაღლეს ლიგაში ოთხი სეზონი ჩაატარა. მისი ფოთელებთან ყოველი მატჩი დერბი იყო და სტადიონიც მუდამ ივსებოდა. ცნობისთვის: ხობის სტადიონი 12 ათას კაცს იტევს.

დღეს ხობის „კოლხეთი“ რეგიონული ლიგის დასავლეთ ზონაში თამაშობს, მაღალ ლიგაში ასვლის პერსპექტივა კი არ უჩანს. ხობელთა მთავარმა მწვრთნელმა ***ლევან ნოდიამ*** ჩვენთან საუბრისას თქვა:

— ახალს ვერაფერს ვიტყვი. თუ გვექნება დაფინანსება, შევძლებთ ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნას. ეს ქართული კლუბების უმრავლესობის საერთო პრობლემაა. ახლა ჩვენი რაიონის ბიუჯეტი გვაფინანსებს, მაგრამ საქმეც ის არის, ეს დაფინანსება რაზე გვყოფნის: მაისურები, ბურთები, მგზავრობის ხარჯი. მეტს ველარ წვდება, რაღაც განსაკუთრებული მოთხოვნები არც გვაქვს, მაგრამ თუნდაც რეგიონულ ლიგაში წარმატების მიღწევაზე რომ ვიფიქროთ, ვარჯიშის ნორმალური პირობები ხომ უნდა გვქონდეს...

...აი, მაგალითად, სენაკელებს სპონსორი გამოუჩნდათ და გუნდი ალბათ პირველ ლიგაში გადასვლასაც შეძლებს. როცა ყველას ძალიან უჭირს, სპონსორის თუნდაც მცირე დახმარება ძალიან ბევრს ნიშნავს. სამწუხაროდ, ჩვენ სპონსორი არ გვყავს და ამიტომ პირველ ლიგაზე ვერც ვიფიქრებთ.

...ასეთ პირობებში ჩვენი გუნდის არსებობას მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ ნიჭიერ ახალგაზრდებს თამაშის საშუალება ჰქონდეთ. გუნდში 1986-88 წლებში დაბადებული ბიჭები გვყავს.

...წლების წინ, როცა უმაღლეს ლიგაში ვთამაშობდით, უფულობას არ ვუჩიოდით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სტადიონზე ლატარიაც თამაშდებოდა და იქიდან მიღებული მოგება გუნდს ხმარდებოდა. ჩვენც კმაყოფილები ვიყავით და გულშემატკივრებიც. კარგი იქნებოდა, ახლაც მოგვეწყო ლატარიები, მაგრამ ამის ორგანიზებასაც ხომ ფული უნდა.

...იმედს მაინც არ ვკარგავთ, არის ლაპარაკი, რომ შეიძლება სპონსორი გამოგვიჩნდეს, ვნთხოთ, ჯერჯერობით კი ასე ვართ.

**ძოტე ძიძელია**



ნოდარ ჩოლარია



გერა ხეცურიანი

# აბა, ლიცენზია მაჩვენე

## ტორპედო — ლიდერი ჩემპიონატში, აუტსაიდერი ლიცენზირებაში...

**ლიცენზირების საკითხი კვლავ გულზე ლოდივით ადევთ ქართულ კლუბებს. ცხადია, მეტ-ნაკლებობა აქაცაა — მაგალითად, ქუთაისის „ტორპედო“ რატომღაც საერთოდ არ გადის ლიცენზირებას. არადა, გუნდი თბილისის „დინამოსთან“ ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს ჩემპიონატში და, ალბათ, ევროტურნირებზე გამსვლელ ადგილსაც შესწვდება. და რა გამოვა? ულიცენზიო იმერლები მაინც ვერ ნახავენ ევროპას...**

**ლიცენზირების კომიტეტის თავმჯდომარემ გერა ხეცურიანმა და მენეჯერმა ნოდარ ჩოლარიამ სწორედ ამ პრობლემებზე სასაუბროდ მიგვიწვიეს ფეხბურთის ფედერაციაში**

„როგორც იცით, უეფა ევროტურნირებზე გამსვლელი გუნდებისგან ყოველ წელიწადს ლიცენზიას ითხოვს. საქართველოში თოთხმეტმა კლუბმა განაცხადა ლიცენზირების გავლაზე თანხმობა და მათ შორისაა „ტორპედოც“, თუმც ლაპარაკი ერთია და საქმე მეორე. „ტორპედო“ ამ პროცედურას არ გადის, მათ ლიცენზირებისთვის საჭირო საბუთები არ წარმოუდგენიათ. ვიცით, რომ ქუთაისური კლუბის ანგარიში დაყადაღებულია და სასამართლოშია საქმე, მაგრამ ხომ უნდა მოგვმართონ ამ საკითხზე და საქმე ხომ უნდა დაიძრას?! „ტორპედოს“ ფაქსი გავუგზავნეთ, მაგრამ პასუხიც არ მიგვიღია, ვერც სატელეფონო საუბრით გავარკვიეთ ეს საკითხი. ჩვენ დეკემბერშიც ვთხოვეთ „ტორპედოს“ გუნდის უფროს მურად ქუთათელაძეს, ლიცენზირების ამბავი დაეჩქარებინათ, მაგრამ მან განაცხადა, ამ საქმეს მე ვერ მოვუვლიო. ეს ჩვენი ახირება არ გეგონოთ: „ტორპედო“ თუ ლიცენზირებას ვერ გაივლის, თავად კლუბი დაზარალდება და ევროტურნირებზე ვერ გავა. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, „ტორპედომ“ რომ ევროტურნირებზე გამსვლელი ადგილი დაიკავოს და იქ ველარ ითამაშოს?! ვიცი, მერე ჯოხს ფედერაციაზე გადატეხენ და ამიტომაც თქვენი მეშვეობით ახლავე ვაფრთხილებ კლუბს“ — თქვა გერა ხეცურიანმა.

კერძოდ, რა პროცედურებია ლიცენზირების გასავლელად? მთავარი ხუთი კრიტერიუმია: საკადრო, ფინანსური, ინფრასტრუქტურული (უმთავრესად სტადიონი), იურიდიული და სპორტული. არსებული დებულებით, კლუბებმა 1 აპრილამდე უნდა წარმოადგინონ ხუთივე კრიტერიუმის დამაკმაყოფილებელი დოკუმენტაცია. 15 აპრილს კომიტეტი შეიკრიბება და ამ დოკუმენტების მიხედვით გადაწყვეტს, მისცეს თუ არა კლუბს ლიცენზია. დაახლოებით მაისის ბოლოს ლიცენზირებული კლუბების დოკუმენტები უეფას გადაეცემა და ისინი ცალკე შეამოწმებენ.

„11 იანვარს ვიყავით უეფას შტაბბინაში და იქ ვთქვით, რომ ზოგიერთ ჩვენს კლუბს ლიცენზირების პრობლემა ექმნება („ტორპედო“ არ მიგვითითებია). მათ კი პირდაპირ თქვეს, გამონაკლისი არ იქნებაო. თუ ქუთაისელები თანახმანი იქნებიან, ჩვენ თავად ჩავალთ იქ და პრობლემების მოგვარებაში დავეხმარებით. სხვათა შორის, შარშან თორმეტი მსურველი გუნდიდან შვიდმა მიიღო ლიცენზია და მათ შორის „ტორპედო“ ვერ მოხვდა. ცოდვა გამხელილი სჯობს და გეტყვით, რომ ჩვენ გულისფანცქალით ველოდით საქართველოს თასის ფინალს, რადგან თასი ქუთაისელებს რომ მოეგოთ, გუნდი მაინც ვერ გავიდოდა უეფას თასზე და მერე ხომ იცით, რა სკანდალი დაიწყებოდა“ — განაცხადა გერა ხეცურიანმა და ისიც აღნიშნა, არც სხვა ქართულ კლუბებს აქვთ საათივით საქმე აწყობილი, მაგრამ ცდილობენ და პროცედურას ეტაპობრივად გადიანო.

როგორც შევიტყვეთ, სულ მალე ლიცენზირება ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ყველა გუნდისთვის აუცილებელი გახდება.

„მომდევნო სეზონში თუ ვერ მოესწრო, 2006-2007 წლების სეზონში პროფლიგასთან ერთად დავაყენებთ საკითხს, რომ ულიცენზიო კლუბები უმაღლეს ლიგაში არ დავუშვათ. ამით თავიდან ავიცილებთ იმ მდგომარეობას, რაც „ტორპედოს“ აქვს, ახუ ევროტურნირებზე გასასვლელად ყველა კლუბი მზად იქნება. აბა, რა საჭიროა კლუბი, რომელიც ხელფასის გადამხდელი არაა, არც ბაზა აქვს, არც სტადიონი და არც კვალიფიციური კადრები ჰყავს?!“ — ნოდარ ჩოლარიამ ეს კონკრეტულად „ტორპედოზე“ კი არა, ზოგადად ქართული კლუბების შიდა სამზარეულოზე თქვა.

უფრო მკვეთრად სტადიონების საშინელ მდგომარეობაზე ითქვა. არ შეიძლება, ქართული კლუბები საევროპოდ მხოლოდ „ლოკომოტივის“, „ოლიმპისა“ და ეროვნული სტადიონების იმედად იყვნენ. მოსაწესრიგებელია პრესლოჟები, გასახდელები, საპირფარეშოები. უეფა ხომ ყოველწლიურად ამოწმებს სტადიონებს: მაგალითად, ბოლნისის „სიონს“ შარშანწინ საკუთარ არენაზე თამაშის ნება დართეს, მაგრამ შარშან სტადიონი უკვე დაიწუნეს.

ასეა თუ ისე, „ტორპედოს“ 1 აპრილამდე აქვს ვადა, რათა ხუთივე კრიტერიუმის შესატყვისი დოკუმენტაცია წარადგინოს. სფფ-ის კლუბების ლიცენზირების კომიტეტს კი ის შესაძლო სკანდალი ანაღვლებს, რაც შეიძლება „ტორპედოს“ უევროპოდ დარჩენას მოჰყვეს.

**ილია ნანობაშვილი**



ქუთაისის „ტორპედომ“ შესაძლოა ევროთასებზე ვერ ითამაშოს





# შპრალოდ, ამომიჩემეს
## ბელამი სუნესს ისევ ეჩხუბა

„ნიუკასლი" აგებს და აგებს, გრემ სუნესის ახირებებს კი საზღვარი არა აქვს.

პარასკევს, გუნდის უელსელმა ფორვარდმა კრეიგ ბელამიმ ჩვეულებრივად ივარჯიშა, შაბათს კი თავი „არსენალთან" სამატჩო განაცხადში ვერ აღმოაჩინა.

„ჯერ კიდევ სამშაბათს პირდაპირ მივედი და მენეჯერსა და უფროსობას მიზეზი ვკითხე — თქვა ბელამიმ — ვგრძნობ, რომ ჩემი აქ ყოფნა არ უნდათ".

სუნესმა კი განმარტა: „კრეიგს არ მოსწონს ის პოზიცია, სადაც ჩემი აზრით ხანდახან უნდა ითამაშოს და თავის უკმაყოფილებას არასწორი გზით გამოხატავს."

კვირას, „ნიუკასლმა" „არსენალთან" წააგო 0:1 და სუნესმა თქვა, რომ მხოლოდ ის ფეხბურთელები ათამაშა, რომლებიც ყველა პოზიციაზე ოფლის საღვრელად არიან მზად.

„კრეიგი ცუდად გვექცევა — იმეორებს სუნესი — თავმჯდომარესთან და ჩემთან შეხვედრისას ჩხუბი ატეხა. ჯერ პარასკევს გამოაცხადა თავი ტრავმირებულად, მერე კი შაბათს თქვა, ჯანზე ვარო. მე ვცდილობ, გუნდური სული ავაღორძინო, ის კი არაფერს დაგიდევს. ფეხბურთი ასეა, ზოგჯერ ისეთ ადგილას გიწევს თამაში, სადაც შენს საუკეთესო თვისებებს ვერ ავლენ, მაგრამ გუნდს იქ სჭირდები".

ბელამი კი, რომელიც 4 წლის წინ „ქოვენთრიდან" გადავიდა „ნიუკასლში" ამბობს, რომ არასდროს არაფერი დაუშურებია ამ გუნდისთვის, მაგრამ გაურკვევლობაში ყოფნა არ უნდა:

„ეს ტყუილია, თითქოს რამეზე უარს ვამბობდე. უკვე 20 თამაშში მაინც გამოვსულვარ ჩემთვის არცთუ სასურველ პოზიციაზე. ფანები ყველაფერს ხედავენ, უბრალოდ, ამომიჩემეს".

ასე, რომ ბელამის მომავალი „ნიუკასლში" ჯერჯერობით ბუნდოვანი ჩანს. თუმცა კლუბის თავმჯდომარემ, ფრედი შეპარდმა განაცხადა, რომ გაუგებრობის მიუხედავად, გუნდის ერთ-ერთი ლიდერის გაყიდვას არ აპირებს და ყველაფერი მოგვარდება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# რა ეშმაკია ეს გალაქტიკო?
## არ მინდა ათი მანქანა, ერთიც მეყოფა



ჟოზე მაურინიოს გუნდში ჰოლივუდის ვარსკვლავები არ სჭირდება

**აშკარაა**, რომ დევიდ ბექემს „რეალში" წყალი შეუდგა. ამასწინათ მშობლიური „მანჩესტერი" გაიხსენა, მანამდე — „ჩელსი". გუშინ კი ჟოზე მაურინიუმ თქვა, რომ არასოდეს იყიდის „რეალის" რომელიმე ფეხბურთელს.

„რაც გჭირდება, კარგი ფეხბურთელების ჯგუფია და არა ჰოლივუდის ვარსკვლავები — თქვა მაურინიუმ — რა ეშმაკია ეს „გალაქტიკო"? ის ვარსკვლავთა პირად ცხოვრებაზე აგებული გუნდია. ეს ფეხბურთს მხოლოდ ხელს შეუშლის".

პორტუგალიელმა თავისთვის სასურველ ფეხბურთელთა იერიც გამოძერწა: „მთელს „გალაქტიკოს" მირჩევნია პაულუ ფერეირა და დიდიე დროგბა. მეც ძვირიანი მანქანა მყავს, მაგრამ მანქანების კოლექციონერი არ ვარ. არ მინდა 10 მანქანა. ამით ვერ დავტკბები".

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ...
## დემეტრიო ალბერტინი ბარსელონაში ჩავიდა

*წინა კვირაში ორჯერ ვახსენეთ დემეტრიო ალბერტინი. თავდაპირველად გვეწერა, რომ ვეტერანი ფეხბურთელით „ბარსელონა" იყო დაინტერესებული. მერე ბერგამოელთა კომენტარიც გაგაცანით, რომელშიც ნათქვამი იყო, ალბერტინის გაშვება „ატალანტას" სერია B-ში უეჭველ დაქვეითებას გამოიწვევს, ამიტომ არანაირ პირობებზე არ დავთანხმდებით მის გაშვებასო*

**გუშინდელი** ცნობა კი ასეთია: დემეტრიო ალბერტინი ბარსელონაში უკვე ჩავიდა და მომდევნო 48 საათის განმავლობაში კონტრაქტსაც გააფორმებს.

და ბერგამოელთა ძველი განცხადება, ალბერტინის ვერ შევეელევითო? ახლა „ატალანტას" მწვრთნელი დელიო როსი ამბობს: „რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, დემეტრიო შეგვენარჩუნებინა, მაგრამ რეალურად რომ ვიმსჯელეთ, როგორ გინდა დაიყოლიო 33 წლის ფეხბურთელი, რომელსაც კარიერის გაგრძელების თუ დასრულების შანსი „ბარსელონას" დარ დიდ კლუბში ეძლევა?"

კონტრაქტი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ხელმოწერილი ჯერ არ არის, თუმც მისი პირობები ცნობილია: ალბერტინი „კამპ ნოუზე" ხუთ თვეს გაატარებს, „ატალანტა" კი 350 ათას ევროს მიიღებს.

ისიც გავიხსენოთ, რომ ალბერტინი და „ბარსას" მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი ძველი თანაგუნდელები არიან და ერთად თამაშობდნენ 90-იანი წლების ლეგენდარულ „მილანში". ალბერტინისთვის კი „ბარსელონა" პირველი ესპანური კლუბი არ იქნება. ორი წლის წინ ის მადრიდის „ატლეტიკოში" თამაშობდა.

ალბერტინის საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილია და ახლა „ბარსელონა" სხვა ფეხბურთელების გადაბირებაზე აგრძელებს მუშაობას. სასურველ მოთამაშეთა სიაში ტურინელი ალესიო ტაკინარდი და რომაელი ოლივიე დაკური არიან. ამ ფეხბურთელების თაობაზე რაიმე კონკრეტული პირობები შეთანხმებული არ არის და „ბარსელონამ" ამაზე უწინ, ჯერ „რივერ პლეიტიდან" თავდამსხმელი მაქსი ლოპესი წაიყვანოს.

ამ ცოტა ხნის წინ „ბარსა" და „რივერი" სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ თუკი არგენტინელები მაქსის ფასზე პირველად დაინტერესებულ კლუბს, „ბენფიკას" ვერ შეუთანხმდებიან, მაშინ მას უეჭველად „ბარსელონას" მიჰყიდიან. ფასიც დათქმულია: „ბარსა" ოთხ მილიონ ევროს იხდის, რომლიდანაც „რივერი" 2,5 მილიონს დაუყოვნებლივ მიიღებს, დანარჩენს კი მოგვიანებით.

მაქსით „ჩელსიც" არის დაინტერესებული, მაგრამ თავად ფეხბურთელი ამბობს, „ბენფიკასაც" და „ჩელსისაც" „ბარსაში" თამაში მირჩევნიაო.

**კოტე კეკელია**



დემეტრიო ალბერტინი: „ბარსელონა" ჩინებულია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დურგალი ხარ, ბიჭო?!
## ჰოიზერის სასტვენმა ფულიც დაკარგა და ღირსებაც



არაპროფესიონალი მსაჯი, რომელსაც „პადერბორნ“ — „ჰამბურგის“ სათასო მატჩში მასპინძელთა სასარგებლოდ სტვენა დააბრალეს, დურგალი ყოფილა.

25 წლის რობერტ ჰოიზერს მსაჯობის უფლება რომ ჩამოართვეს, ამის შესახებ გუშინაც ვწერდით. შეგახსენებთ, რომ აგვისტოში, გერმანიის თასის მატჩში უსახელო „პადერბორნმა“ ბუნდესლიგელ „ჰამბურგს“ 4:2 მოუგო, არადა, 0:2-ს აგებდა. ამ ანგარიშზე მსაჯმა „ჰამბურგს“ ბელგიელი მეგოლე ემილ მპენზა გაუძევა და მერე სტუმართა კარში ორი საეჭვო პენალტიც დანიშნა.

ახლა კი გაირკვა და, როგორც „ბილდმა“ გამოქექა, ბერლინელ რობერტ ჰოიზერს ამ მატჩამდე ერთ-ერთ მეგობართან საუბარში დაუქადნია, სასტვენით დიდი ფულის მოხვეჭა შემიძლიაო. მერე ბერლინულ ტოტალიზატორებში „პადერბორნის“ მოგებაზე მავანთ მსუყე თანხაც გადაუთვლიათ. ჰოიზერი მეგობართან დააპირისპირეს, მაგრამ ეჭვმიტანილი ცხადია, უარყოფს — არასოდეს დამიდია იმ წყეილზე ფული, რომელშიც ვმსაჯობდი, არ მეგონა, თუ ჩემი მეგობრები ხუმრობას ასე გაიგებდნენო.

„ჰამბურგის“ მწვრთნელი მაშინ კლაუს ტოპმიოლერი იყო და ამ მარცხს გადააყოლეს კიდეც. ახლა ტოპმიოლერი იხსენებს, ჰოიზერი ისე მსაჯობდა, რომ დარწმუნებული ვიყავი, თამაშს ვერ მოვიგებდითო.

გერმანიის საფეხბურთო კავშირი საქმეს იძიებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ნედვედის ტრავმა დელ პიეროს შანსია

პაველ ნედვედის ტრავმა არც ისე სერიოზული აღმოჩნდა, როგორც თავიდან ჩანდა. ტურინელთა ჩეხი ნახევარმცველი ოპერაციასაც გადაურჩა და ნახევარწლიან იძულებით პაუზასაც.

საქმე კი აი, რაშია. „იუვენტუსის“ ექიმები შიშობდნენ, რომ პაველს მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები ჰქონდა გაწყვეტილი, მაგრამ დაწვრილებითმა გამოკვლევამ მათი ეჭვები გააქარწყლა. როგორც გაირკვა, მყესები დაზიანებული არ ყოფილა, ხოლო ნედვედს სარეაბილიტაციოდ დაახლოებით სამი კვირა დასჭირდება. ახლა „ბებერი ქალბატონის“ მედიკოსები ყველანაირად შეეცდებიან, ნედვედმა „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩი ითამაშოს.

შეგახსენებთ, სერია A-ს ბოლო ტურში ბრეშელმა მაურო მილანეტომ მის წინააღმდეგ ძალიან უხეშად ითამაშა და ნედვედიც შესაცვლელი ამიტომ შეიქნა.

სანამ გამოჯანმრთელდება, იქამდე ტურინელთა ერთ-ერთ ლიდერს ურუგვაელი რუბენ ოლივერა ან ფრანგი ოლივიე კაპო შეცვლის. არც ისაა გამორიცხული, რომ ფაბიო კაპელომ 4-3-1-2 სქემით თამაში არჩიოს ანუ ალესანდრო დელ პიერო გამოკვეთილი ფორვარდების, დავიდ ტრეზეგესა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის უკან გამწესდეს, რათა გამთამაშებლობა იკისროს.

**გიორგი ძაძაბაძე**

# მონტელას ხელების გაშლა გერმანიაშიც სურს

იტალიური „რომას“ ფორვარდი ვინჩენცო მონტელა ნუ გაგიკვირდებათ და, უკვე 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირს (17 გოლი) სჯერა, რომ „სკუადრა აძურაში“ კუთვნილ ადგილს იმსახურებს და ეროვნულ გუნდს წარმატების მიღწევაში დაეხმარება. ცხადია, თუ ვის ბოსტანშიც ისროლა კენჭი რომაელმა ამ მკვეთრი განცხადებით. მან ნაკრების მწვრთნელ მარჩელო ლიპის კიდევ ერთხელ შეახსენა თავი.

„რა თქმა უნდა, მაქვს იტალიის ნაკრებში მოხვედრის ამბიცია და მჯერა, რომ ცისფერი მაისურით ვითამაშებ კიდეც. ეს ლიპისადმი გაგზავნილ მესიჯად არ ჩათვალოთ, ამგვარი რამ არ მჭირდება. დარწმუნებული ვარ, იგი თავადაც ხედავს ყველაფერს. ამჟამად ნამდვილად კარგ ფორმაში ვარ, თუმც ეს ჩემი მაქსიმუმი არ არის“ — ამბობს მონტელა.

ზემოთაც გითხარით, რომ წლეულს ვინჩენცოს სერია A-ში უკვე 17 გოლი მოუგროვდა და ბომბარდირთა დავაშიც ლიდერობს. არადა, სეზონის დასაწყისში მონტელა სათადარიგოთა ს[illegible] ხეხავდა. „რომას“ ძირითადში ლუიჯი დელ ნერიმ რომ დაამკვიდრა, არც შემცდარა. სწორედ მისი წყალობაა „რომა“ ბოლოხანს წარმატებებს რომ აღწევს.

გასულ უქმეებზე, „რომამ“ მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა „ფიორენტინასთან“ გასვლით შეხვედრაში და გამარჯვების გოლი კვლავ მონტელასი იყო. ჟურნალისტები მას ამ მატჩზე და „რომას“ პერსპექტივაზეც დაეკითხნენ.

„თუ წაგებულ რომაულ დერბის არ ჩავთვლით, ბოლო დროს ძალიან კარგად ვთამაშობთ. სატურნირო მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გამოვასწორეთ, რაც ასევე კარგია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი შესაძლებლობების ვირწმუნეთ და ეს შედეგზეც მკაფიოდ აისახა. რაც შეეხება კონკრეტულად ფლორენციულ მატჩს, ბუნებრივია, ძალიან საჭირო გამარჯვება მოვიპოვეთ, თანაც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ვაგებდით. ცხადია, გადამწყვეტი გოლის გატანა ორმაგად გამიხარდა“.

**გიორგი ძაძაბაძე**



*რა არის მაინც ეს ცხოვრება... გენუელ სტეფანო ბეტარინის ისე დაემართა, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, რომ არის ნათქვამი*



სტეფანო ბეტარინი და სიმონა ვენტურა ერთმანეთს დაცილდნენ

# კაცი ბჭობდა, ბეტარინი ვერ იცინოდა
## სტეფანოს გენუაში არ დაედგომება

ერთი წლის წინ სტეფანო ბეტარინის „ვალენსია“ ეპატიჟებოდა. მან უარი თქვა და „სამპდორიაში“ დარჩენა ამჯობინა. თითქოს არც შემცდარა, „სამპდორია“ სერია A-ში აღზევდა, ფეხბურთელი კი „სკუადრა აძურაში“ მიიწვიეს.

მერე ბეტარინი დაქორწინდა. მისი მეუღლე უპოპულარესი ტელეწამყვანი სიმონა ვენტურა გახდა, რომელსაც RAIDUE-ს საფეხბურთო გადაცემიდან ვინძლო ქართველი გულშემატკივარიც იცნობდეს.

მაგრამ ერთბაშად ყველაფერი აირია. ამ ექვსი თვის წინ გაჩნდა ეჭვი, რომ „სამპდორიასა“ და „მოდენას“ მატჩი გარიგებული იყო. გამოძიებისას მოდენელმა ანტონიო მარასკომ საბედისწეროდ სწორედ ბეტარინიზე მიუთითა და ფეხბურთელს ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს. ცხადია, „სკუადრა აძურაც“ უკან დარჩა და ამ უქმობის ჟამს ბეტარინი ცოლსაც გაეყარა.

ბეტარინის დისკვალიფიკაციის ვადა 25 იანვარს გასდის, მაგრამ მისი მომავალი მაინც გაურკვეველია. „სამპდორიაში“ მას უთხრეს, რომ აღარ სჭირდებათ და, რომ მის მაგივრად გენუელებს კიევოელი პაოლო სამარკო ჰყავთ შეგულებული.

„ნეტავ, მაშინ „ვალენსიაში“ გადასვლას დავთანხმებულიყავი — ოხრავს ბეტარინი — ახლა ესპანეთის ჩემპიონი ვიქნებოდი, უეფას თასსაც მოვიგებდი და ეგებ ოჯახიც არ დამნგრეოდა“.

ოჯახისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბეტარინის საფეხბურთო კარიერა ვინძლო ისევ აღმა წავიდეს. ამბობენ, რომ დღე-დღეზე ის „პარმაში“ გადავა, თუმცა ბოლო დრომდე მისით „ლაციო“ დ „ლივორნოც“ იყვნენ დაინტერესებულნი.

„სამპდორიაში“ კი სტეფანო ბეტარინის აღარც ახსენებენ. მწვრთნელმა ვალტერ ნოველინომ თქვა, ახლა მთელი ყურადღება „ლაციოსთან“ მატჩზე მაქვს გადატანილი და ის მაფიქრებს, სიმონე ინძაგი შეძლებს თუ ვერ თამაშსო.

**ირაკლი ნინიძე**




ლილელთა სიხარული დიდია: მეტ მუსილუს (მარჯვნივ) დუბლმა ჩემპიონი დაჩოქა

# მუსილუმ შემუსრა

**ოცდაორი** წლის მეტ მუსილუს წყვილმა გოლმა ოცდამეორე ტურში საფრანგეთის ჩემპიონ „ლიონს“ პირველი საამსეზონო მარცხი აგემა.

ეს „ლე შამპიონატის“ ლიდერთა გუშინწინდელ მატჩში მოხდა. მესამე წუთზე სტუმართა მცველები შეცდნენ, საჯარიმოში შესულ მუსილუს ხელი ვერ შეუშალეს და ფორვარდმაც გრეგორი კუპეს იოლად გაუტანა. ჩემპიონი აფორიაქდა, მაგრამ სენეგალელი ტონი სილვას კარს გასაღები ვერაფრით მოარგო.

„ლილის“ მეკარემ ჟუნინიოს რამდენიმე საჯარიმო დარტყმა მოიგერია, მცველმა ვიტაკიჩმა კი ლიონელი ნილმარის დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოაგდო.

როცა სიდნეი გოვუმ, მიკაელ ესიენმა და ანტონი რეველიერმა ნაღდი საგოლე შანსები კიდევ გაანიავეს, მუსილუმ კუპეს მეორე გოლი მაშინ მიართვა.

ბოლოს ჟუნინიომ თავისი მაინც გაიტანა. ფლორენ მალუდას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ბრაზილიელმა აუღელვებლად გამოიყენა 2:1, მაგრამ დარჩენილ დროში, გასათანაბრებლად მაინც ჩემპიონთა ყველა ცდა უხეირო გამოდგა.



პოლ ლე გუენის „ლიონი“ სეზონში პირველად დამარცხდა

მოკლედ, „ლიონმა“ წააგო. მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა კი განაცხადა: „წაუგებელი სერიის გაგრძელება, რა თქმა უნდა, გვსურდა და საწყენია, რომ ვერ შევძელით. ახლა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მომდევნო მატჩისთვის უნდა მოვემზადოთ. რთული კვირა გვექნება. ხუთ დღეში კიდევ ორი შეხვედრა გველის — „რენთან“ შინ და „ბასტიასთან“ სტუმრად. ასეთ რეჟიმში თამაში იოლი არაა, მაგრამ უნდა შევეგუოთ“.

„ლილის“ მეკარე ტონი სილვა: „ჩვენ კვლავაც პატარა გუნდად ვრჩებით, რომელიც ბეჯითად შრომობს. ვეცდებით, ასე გავაგრძელოთ და ვნახოთ, რა მოხდება. მარტის შუაშიც სამეულში თუ ვიქნებით, ამბიციურნი უფრო მაშინ გავხდებით“.

დუბლის ავტორმა და მატჩის გმირმა მუსილუმ თქვა: „ძალიან ძლიერ მეტოქეს ვაჯობეთ და სხვაობა სამ ქულამდე შევამცირეთ. სწრაფმა გოლმა საკუთარი თავის რწმენა შეგვმატა. თავისთავად მნიშვნელოვანია ჩემთვის, რომ ორი გოლი გავიტანე“.

„ლილის“ ნახევარმცველმა კრისტოფ ლანდრინმა კი იხუმრა, ეს უკვე საკმარისია საიმისოდ, რომ ლიგიდან არ გავვარდეთო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მიულერს მადლობა გზაში დაანიეს



ჟოელ მიულერი

**„ლანსის“** მწვრთნელმა ჟოელ მიულერმა სკამი გაათავისუფლა. ამის შესახებ კლუბის თავმჯდომარე ჟერვის მარტელმა განაცხადა.

53 წლის მიულერი გუნდში 2001 წლიდან მუშაობდა, ახლა კი მის ადგილს თანაშემწე ფრანსის გიიო დაიკავებს. „ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე — თქვა გუშინ მარტელმა — რომ არჩევანი არ მქონდა. ჟოელ მიულერის დიდად მადლობელი ვარ, მაგრამ ჩემთვის მთავარი შედეგია. ახალი მწვრთნელისთვის ორ დღეში გუნდის ახლებურად მომზადება ძნელი იქნება, მაგრამ სხვა გზა არ არის“.

ბოლო ტურში „ლანსმა“ მონაკოში 0:2 წააგო. ეს მიჯრით მესამე მარცხი გამოდგა და გუნდი მეთოთხმეტე საფეხურზე დაეშვა. ხვალ ლანსელები „კაენს“ უმასპინძლებენ და ეგებ დაიბრუნონ კიდეც გამარჯვების გემო.

შეგახსენებთ, რომ მწვრთნელის და თავმჯდომარის გადადგომას ქომაგები „სენტ ეტიენთან“ საშინაო სათასო მატჩში მარცხის შემდეგვე ითხოვდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## პორტუგალია

**სუპერლიგა**

**XVIII ტური**

**ლეირია 0:1 პორტუ**

0:1 რიკარდუ კოშტა (17)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 18 | 10 | 4 | 4 | 40:23 | 34 |
| პორტუ | 18 | 9 | 7 | 2 | 23:10 | 34 |
| ბრაგა | 18 | 9 | 6 | 3 | 26:13 | 33 |
| ბოავიშტა | 18 | 10 | 3 | 5 | 22:21 | 33 |
| ბენფიკა | 18 | 9 | 4 | 5 | 28:20 | 31 |
| რიუ ავე | 18 | 6 | 10 | 2 | 25:20 | 28 |
| სეტუბალი | 18 | 8 | 3 | 7 | 26:21 | 27 |
| მარიტიმუ | 18 | 6 | 9 | 3 | 19:16 | 27 |
| ლეირია | 18 | 5 | 8 | 5 | 18:18 | 23 |
| გიმარაეში | 18 | 6 | 5 | 7 | 17:18 | 23 |
| ბელენენსეში | 18 | 6 | 4 | 8 | 27:25 | 22 |
| ნასიონალი | 18 | 6 | 3 | 9 | 20:28 | 21 |
| პენაფიელი | 18 | 6 | 2 | 10 | 18:34 | 20 |
| ჟილ ვისენტე | 18 | 5 | 4 | 9 | 18:22 | 19 |
| ეშტორილი | 18 | 5 | 3 | 10 | 21:26 | 18 |
| მორეირენსე | 18 | 3 | 8 | 7 | 15:24 | 17 |
| ბეირა მარი | 18 | 4 | 5 | 9 | 21:34 | 17 |
| აკადემიკა | 18 | 3 | 4 | 11 | 14:25 | 13 |

## მექსიკა

**კლაუსურა. II ტური**

**სანტოსი 2:1 დორადოსი**




**იტალიურმა** „მილანმა“ თავის ვეტერან მცველ ჯუზეპე პანკაროსთან გააახანგრძლივა კონტრაქტი. მოქმედ შეთანხმებას ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურებოდა, ახლა კი 33 წლის ფეხბურთელი 2006 წლამდე დარჩება „სან-სიროზე“. მიღწეული შეთანხმებით, ორივე მხარე კმაყოფილია. მილანელთა უფროსობის თქმით, კლუბს პანკაროს დიდი იმედი აქვს.

**ჰოლანდიის** ნაკრებისა და ინგლისური „ფულემის“ კარის დარაჯი ედვინ ვან დერ სარი კლუბს აღარ შეიცვლის. იგი ლონდონელთა ხელმძღვანელობამ დაიყოლია და მეკარეც მალე ახალ, ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. შეგახსენებთ, ბრიტანული პრესის ცნობით, ვან დერ სარის შეძენა „არსენალსა“ და „მანჩესტერს“ სურდათ.

**ინგლისური** „ლივერპულის“ მცველი სემი ჰიპია რამდენიმე დღე დაისვენებს. ფინელმა მცირე ტრავმა „საუთჰემპტონთან“ წაგებულ მატჩში მიიღო. ექიმები იმედოვნებენ, რომ ჰიპია პრემიერლიგის მომავალ ტურში, „ჩარლტონის“ წინააღმდეგ ითამაშებს. მის გარდა მერსისაიდელთა ლაზარეთში კიდევ 10 ფეხბურთელია.

**ხორვატიული** „დინამოს“ ქომაგებმა თავიანთი კლუბის ყოფილ კაპიტან ნიკო კრანჩარს მოსისხლე მტრის, სპლიტის „ჰაიდუკში“ გადასვლა ვერ აპატიეს. ათეულობით გაცოფებულმა გულშემატკივარმა 21 წლის ფეხბურთელზე თავდასხმა სცადა და ქალაქში სერიოზული არეულობაც გამოიწვია. ზაგრების პოლიციამ 10 პიროვნება დააკავა. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას კრანჩარი 1,5 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა „ჰაიდუკში“ და თავის ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ინგლისური** „არსენალის“ ნახევარმცველი ჟერმენ პენანტი 1 თებერვალს სასამართლოს წინაშე წარსდგება. რამდენიმე დღის წინ იგი ნასვამი მართავდა ავტომობილს და მცირე ავარიაც შეემთხვა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა და პენანტს სავარაუდოდ მსუბუქი სასჯელი ელის. როგორც შემდგომში გაირკვა, „მერსედესი“, რომელსაც იგი მართავდა, ლონდონელთა მეორე ფეხბურთელს, ეშლი კოულს ეკუთვნის.

**გერმანულმა** „ვერდერმა“ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მეკარე ტიმ ვიზე დაიმატა. 23 წლის გოლკიპერმა „კაიზერსლაუტერნი“ დატოვა და ბრემენელებს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. მხარეები მალე სამწლიან კონტრაქტს გააფორმებენ. შეგახსენებთ, რომ ამჟამად ვიზე მუხლის ტრავმას მკურნალობს და მოედანს სავარაუდოდ მომავალ სეზონში დაუბრუნდება.

**ფრანგულ** „მარსელს“ იაპონელი ნახევარმცველის, კოჯი ნაკატას შეძენა სურს. „სტად ველოდრომზე“ გადაბარგება თავად ფეხბურთელსაც უნდა, მაგრამ მისი ამჟამინდელი კლუბი, „კამპია ანილეისი“ ჯერჯერობით წინააღმდეგია. „უკვე არაერთხელ ვთქვი, რომ „მარსელში“ გადასვლას ვაპირებ, მაგრამ გუნდის უფროსობა ყველანაირად ცდილობს ჩემს შენარჩუნებას. იმედია, შეთანხმებას მივაღწევთ“ — თქვა ნაკატამ.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა გულშემატკივრებს ახარა, „მილანთან“ მატჩისთვის რუუდ ვან ნისტელროი მწყობრში იქნებაო. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ფორვარდი ნოემბერში მიღებულ ტრავმას დღემდე მკურნალობს. „მე ვესაუბრე ექიმებს და თავად რუუდსაც. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად მიდის. იგი უკვე დარბის და მალე სრული დატვირთვით ვარჯიშსაც შეძლებს“ — განაცხადა ფერგიუსონმა.

**ესპანური** „რეალის“ მცველი ვალტერ სამუელი ცხვირის ოპერაციას საჭიროებს. იგი გასულ უქმეებზე მალიორკელ ბერნარდო რომეოსთან შეჯახებისას დაშავდა. მადრიდელთა ექიმების თქმით, სერიოზული არაფერია, მაგრამ შესაძლოა, 26 წლის არგენტინელმა პრიმერადივიზიონის მომავალ ტურში, „ნუმანსიასთან“ თამაში ვერ შეძლოს.

**ინგლისური** „ფულემის“ ფრანგ ნახევარმცველ სტიდ მალბრანკს სულ ცოტა ერთი თვით მოუწევს დასვენება. მან „ვესტ ბრომვიჩთან“ მატჩში კოჭი დაიზიანა და, როგორც შემდგომში გაირკვა, საკმაოდ სერიოზულადაც. მალბრანკს „ასტონ ვილასთან“, „ტოტენჰემთან“, „ნიუკასლთან“, „ლივერპულთან“ და „მიდლსბროსთან“ შეხვედრების გამოტოვება მოუწევს.

# ძოფი ფლორენციაში მივიდა



**„ფიორენტინას“** ახალი მწვრთნელი ჰყავს — 62 წლის დინო ძოფი. გუშინ, „იების“ პრეზიდენტმა დიეგო დელა ვალემ სერჯო ბუზო თანამდებობიდან დაითხოვა. შემცვლელის ძებნა პრეზიდენტს დიდხანს არ დასჭირვებია, რადგან ძოფმა შეთავაზებისთანავე განუცხადა, თანახმა ვარ, მწვრთნელობა მომენატრაო.

იტალიის ნაკრების ექსთავკაცის პრესკონფერენცია დღეს მოეწყობა.

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი




# საიუბილეო მაისურა

## დიეგომ, ბოკასი მრცხვენიაო



**დიეგო მარადონას** თავისი მშობლიური კლუბის „ბოკა ხუნიორსის“ ამჟამინდელი მაისურა არ მოსწონს.

„მთვრალიც რომ ვყოფილიყავი, ასეთი მაისურით მოედანზე სათამაშოდ არ გავიდოდი. გულწრფელად გეტყვით, მრცხვენია იმ ფეხბურთელების მაგივრად, ეს საშინელი სამოსი რომ აცვიათ“ — განაცხადა დიეგომ არგენტინული „ოლესადმი“ მიცემულ ინტერვიუში.

საქმე ისაა, რომ „ბოკა ხუნიორსი“ წლეულს, 3 აპრი[illegible] გუნდის დაარსებიდან 100 წლისთავის იუბილესთვის ემზადება და კლუბის პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმაც გადაწყვიტა, გუნდი ძველი, მეოცე საუკუნის დასაწყისის ფორმებით შემოსოს. თუმცა...

ამ თითქოსდა უწყინარ ქმედებას მთელი ბოკური ინჩასობის აღშფოთება მოჰყვა, მარადონას ჩათვლით. და მაინც, რაშია საქმე? ძველ-ახალ მაისურას წინ ოქროსფერი ზოლი ამშვენებს, რაც, არც მეტი, არც ნაკლები, მოსისხლე „რივერ პლეიტთან“ ასოცირდება: „მაკრიმ უმჯობესია იფიქროს, თუ მოედანზე გუნდი ვისი ფორმით გამოჰყავს. ასე გამოწყობილ კლუბს „ბოკა ხუნიორსს“ ნამდვილად ვერ დავარქმევ“ — დასძენს მარადონა.

თავად პრეზიდენტს კი ხალხის და დიეგოს განრისხება უკვირს. „რამ გაფიქრებინათ, რომ ეს „რივერის“ მაისურას ჰგავს? გუნდის დღევანდელ ეკიპირებაში უცნაურს და ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგოს ვერაფერს ვხედავ. უბრალოდ, ზეიმისთვის ასეთი „საიუბილეო“ მაისურა შევარჩიეთ, მერწმუნეთ, დიზაინი ისევ იგივე იქნება“ — ამტკიცებს მაკრი.

# მე ხომ გითხარი, რომ ბრიყვი ხარ

## მასკერანო რივერისთვის თავს დადებს



**„რივერ პლეიტის“** ახალგაზრდა ვარსკვლავ ხავიერ მასკერანოსთვის მოედანზე მეტოქის ფეხბურთელებთან ან მატჩის არბიტრთან შელაპარაკება ისეთივე ჩვეული ამბავია, როგორც ბურთისთვის ბრძოლა და მოწინააღმდეგე გუნდის აწიოკება.

გასულ შაბათს, მეორე არგენტინულ გრანდთან და „რივერის“ დაუძინებელ მტერ „ბოკა ხუნიორსთან“ ამხანაგურ თამაშში — მატჩი უგოლო ფრედ დასრულდა — ხავიერმა ბოკელი გილერმო ბაროს შელოტო აუგად მოიხსენია. მასკერანო და შელოტო ერთმანეთს პირველ ტაიმში შეეჯახნენ და შეხვედრის არბიტრმა, ექტორ ბალდასიმ ბრაზიან რივერელს ყვითელი ბარათი მაშინვე აუფრიალა. მასკერანომ ჩათვალა, რომ გილერმომ იაფერისტა, ამიტომაც ტემპერამენტიანი ჟესტიკულაციისა და, რა თქმა უნდა, ბასრი სამხრეთეული ჟარგონის მოშველიებით „ბოკას“ მოთამაშეც „შეამკო“ და არგენტინული „ელ კლასიკოს“ მსაჯიც.

„მას ვუთხარი, რომ სტადიონზე ასე მამაძაღლურად მარტო ბრიყვები თუ იქცევიან. ვისაც როგორ უნდა, ისე გადახარშოს ჩემი საქციელი, „რივერის“ ღირსებას ვიცავ და მოწინააღმდეგის ფეხბურთელთან სიტყვიერ შეტაკებაზეც არ დავიხევ უკან“ — განაცხადა მატჩის შემდეგ მასკერანომ.

გინება და სხვა ამდაგვარები 20 წლის ფეხბურთელისთვის ახალი როდია, ადრე „ველეს სარსფილდის“ ვალდემარინიც შემოელანძღა. თუმც, ამჯერად იოლად ველარ გამოძვრებაო, გვამცნობს არგენტინული სპორტული მედია.

და ერთიც, „რივერ პლეიტის“ ნახევარმცველს ტრავმირებული ფეხი გაუმიზეზდა და სავარაუდოდ, უახლოესი სამი კვირის მანძილზე მოედანზე ვერ შეიგინება.

# კარლიტოს საწუხარი




კარლოს ტევესი

**„კორინთიანსის“** ახალშეძენილმა არგენტინელმა თავდამსხმელმა კარლოს ტევესმა კლუბის ერთგული ქომაგი შეაშფოთა.

ფორვარდი გასულ პარასკევს აუტანელმა ტკივილმა გამოაღვიძა და მარჯვენა ფეხზე საეჭვო შეშუპების გამო სან პაულუს ერთ-ერთ ჰოსპიტალს მიაკითხა. გულშემატკივართა სასიხარულოდ, მედიკოსებმა კარლიტოს პრობლემა მალევე მოუგვარეს და იგიც ახლა პორტო ფელისში, სან პაულუდან 110 კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქში „კორინთიანსის“ დანარჩენ წევრებთან ერთად ვარჯიშობს.

არგენტინელი მოიერიშე, რომლის მეზობელ ქვეყანაში გადაბარგება 22,6 მილიონი ევრო დაჯდა, დამდეგ შაბათს შტატის ჩემპიონატში „ამერიკას“ უნდა შეერკინოს. მიუხედავად იმისა, რომ ტევესს „კორინთიანსში“ დებიუტის დიდი სურვილი აქვს, ფლავიო ფალოპა, გუნდის ექიმი აცხადებს, რომ კარლიტო სრულად მხოლოდ ერთ კვირაში გამოჯანმრთელდება და ამიტომაც ფორვარდს „ამერიკასთან“ მოედანზე ნაჩქარევად გასვლას არ ურჩევს.

# მწარედ განანებთ

## არგენტინელი მეკარე სიმსუქნემ დაღუპა

*პერუს „ალიანსას“ ან უკვე ყოფილ გოლკიპერ ომარ რეინოსს საჩოთირო ამბავი შეემთხვა — წარმოშობით არგენტინელი მეკარე კლუბის თავკაცობამ ზედმეტი წონის გამო შემადგენლობიდან დაითხოვა*



ომარ რეინოსი

„ეს დაცინვაა და სხვა არაფერი. ვფიქრობ, ფეხბურთელისთვის სავსებით ნორმალური წონა მაქვს. რამდენი მეკარე ვიცი, ჩემზე გაცილებით მძიმედ რომ გამოიყურებიან. იმათთან შედარებით მე ბუმბულივით მსუბუქი ვჩანვარ. ყველაზე მეტად კი კლუბის უფროსობის საქციელმა გამანაწყენა. მათ თავიანთი გადაწყვეტილება ჩემი წარმომადგენლის მეშვეობით შემატყობინეს. ალბათ, პირადად ვერ გაბედეს და იმიტომ“ — ამბობს რეინოსი.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, ფერხორციანი რეინოსის გარშემო ასე ვთქვათ, შეთქმულების წრე სულ უფრო და უფრო იკვრებოდა, რასაც თავად ომარიც გრძნობდა.

„წონასთან დაკავშირებით სამედიცინო შემოწმება უნდა გამევლო, თუმცა „ალიანსადან“ ჩემი წასვლის თაობაზე სიტყვაც არ თქმულა. სალვადორე კი, ჩემი აგენტი, გუშინ მირეკავს და მეუბნება, უფროსობას შენთან ურთიერთობის გაგრძელება აღარ სურსო — დასძენს მეკარე —რა გაეწყობა, თუ ცხვირწინ ერთი კარი მიმიხურეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეორე აღარ გაიღება. ცხოვრება წინაა და გპირდებით, „ალაინსას“ სხვა კლუბის მაისურით მწარედ ვანანებ“.

...და ან ცაზე ვარსკვლავები

# თომას ნკონო

*გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, კამერუნში, ერთდროულად სამმა ძლიერმა მეკარემ მოიყარა თავი. ამას ისიც ადასტურებს, რომ მოგვიანებით, როდესაც საუკუნე გაილია და ხალხმა საუკეთესოების ჩამოთვლა და დახარისხება დაიწყო, აფრიკის ასწლეულის გოლკიპერთა სიაში ჩვენს მიერ ზემოხსენებულთაგან სამივე მოხვდა — ჟოზეფ-ანტუან ბელი პირველ ნომრად, თომას ნკონო მეორედ, ხოლო ჟაკ სონგო მეექვსედ. ჩვენ თომას ნკონოზე მოგახსენებთ*

# შავი იაგუარი




ეროვნულ ბიბლიოთე

**კამერუნში** არის ქალაქი, რომელსაც ჰქვია დიზანკი და რომლის მაცხოვრებლებიც აფრიკული ადათის შესაბამისად მრავალშვილიანნი არიან. სწორედ ამ ქალაქის ერთ-ერთ ასეთ ოჯახში დაიბადა თომას ნკონო, რაც კი 1955 წლის 20 ივნისს მოხდა. ერთი სიტყვით, წლეულს, ზაფხულში ნკონო 50 წლისა ხდება. ბუნებრივია იგი ქვეყნის გამორჩეული და, ალბათ არცთუ ყველაზე ღარიბი მოქალაქეა, მაგრამ ამ ნახევარი საუკუნის წინ მისი ოჯახი სილატაკეს ებრძოდა და თავად თომასსაც სულ პატარაობიდან ათასი საქმისთვის უხდებოდა ხელის მოკიდება — იმხანად საუბარი არც მეტი, არც ნაკლები, შიმშილით სიკვდილისგან თავის დახსნაზე იყო.

16 წლისა რომ შესრულდა, მისი ოჯახი უკვე ქალაქ დუალაში გახლდათ ახალგადასახლებული. მომავალ ვარსკვლავს უამრავი სხვადასხვა ხელობის შესწავლა მოესწრო, ხოლო ბურთს მხოლოდ მოცალეობის ჟამს აგორებდა. სწორედ მაშინ, ტიპიური აფრიკული ქალაქის ერთ-ერთ ტრიალ მინდორზე თამაშისას შეამჩნია თომას ნკონო იქაური საფეხბურთო კლუბ „ლეკლერის“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა და... თავდამსხმელად წაიყვანა. ხელფასი, ცხადია მცირე, მაგრამ მაინც დაუნიშნეს.

1972 წელს ნკონომ პირველად მიიღო მონაწილეობა ნამდვილ ფეხბურთში და პირველ ხუთ შეხვედრაში ცხრა გოლიც კი გაიტანა.

ამის შემდეგ ბუნებრივი ისტორიის კამერუნული ვარიანტი დატრიალდა: ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა „ლეკლერის“ მეკარე, გუნდში მისი შემცვლელი არ იყო და ძელებს შორის თომასს მოუხდა ჩადგომა. ამ თითქოსდა, ათასჯერ მოსმენილ ამბავში სიახლე მხოლოდ ის არის, რომ „ლეკლერის“ ერთადერთი გოლკიპერი თავად ნკონომ დააშავა — ბურთის უძლიერესი დარტყმით უილბლოდ გაშვერილი თითი მოსტეხა. შემდეგ, როდესაც ხსენებული თითი შეხორცდა, გაირკვა, რომ მისი პატრონისთვის კარში ადგილი აღარ იყო, რადგან იქ უკვე იდგა კაცი, რომელმაც თორმეტ შეხვედრაში ერთი გოლიც კი არ გაუშვა.

1974 წელს „ლეკლერის“ ისტორიაში დიდებული ამბავი მოხდა — კლუბის სალარო 50 ათასი დოლარით შეივსო. ცნობისთვის: მაშინდელ კამერუნში 50 ათასი დოლარი დიდი თანხა იყო და ეს თანხა თომას ნკონოს პირველი კლუბის ანგარიშზე ქვეყნის უმთავრესმა გრანდმა „ქენონმა“ გადარიცხა. ამის მიზეზი ცხადია, იმთავითვე მიხვდით, ჩვენი წერილის მთავარი გმირის ყიდვა იყო. ნკონომ ახალ გუნდში ხუთჯერ ქვეყნის ჩემპიონობა, სამჯერ კი თასი მოიგო, თუმც რაც შეეხება პირველ საერთაშორისო, ასე ვთქვათ, კამერუნსგარეთა ჯილდოს, იგი აფრიკის ერთ-ერთმა უდიდესმა მეკარემ იმავე იაუნდეს უკვე სხვა გუნდის, „ტონერის“ შემადგენლობაში გადასვლის შემდეგ აღმართა. ეს ჯილდო აფრიკის თასების მფლობელთა თასი გახლდათ.

თომას ნკონოს მეტსახელად შავ იაგუარს ეძახდნენ. ის კარიერის მანძილზე ორჯერ დაასახელეს აფრიკის „ოქროს ბურთის“ ლაურეატად, თუმცა, სულ პირველად 1978 წელს მხოლოდ „ბრინჯაოს ბურთი“ ერგო. 1979-ში, როდესაც აფრიკის თასების თასზე ნკონომ უძლიერესების წინაალმდეგ 80 შეხვედრაში მხოლოდ 3 გოლი გაუშვა, ბრინჯაო ბუნებრივია, ოქროთი შეიცვალა და მას მერე მუდამ ტიტულის კანდიდატთა შორის იყო.

მეორედ აფრიკის საუკეთესოობა ჩვენს გმირს 1982-ში ხვდა წილად.

დიახ, 1982... აქ შევჩერდეთ, ეს წელიწადი თომასისთვის საკმაოდ თავისებური გამოდგა. ერთის მხრივ, როგორც ვთქვით, იგი ბრწყინვალე ფორმაში იყო და აკი გახდა კიდეც წლის საუკეთესო, მაგრამ მეორე მხრივ ეს მსოფლიოს სწორედ იმ ჩემპიონატის წელი გახლდათ, როდესაც კამერუნმა ჯგუფურ ეტაპზე ერთადერთი გოლი გაუშვა და...

გავიხსენოთ, ხოლო ვისაც არ უნახავს, ვუამბოთ: პერუსთან და პოლონეთთან ნათამაშევი 0:0-ების შემდეგ, კამერუნი იტალიას ხვდებოდა. გუნდებს ქულები თანაბრად ჰქონდათ, თუმცა იტალიელებს წინა შეხვედრებში თითო გაეტანათ და გაეშვათ ანუ უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. ერთი სიტყვით, კამერუნს მოგება სჭირდებოდა.

იტალიელებმა, როგორც საერთოდ სჩვევიათ, რაციონალური, არწაგებაზე გათვლილი ფეხბურთი ითამაშეს და იმ დღეებში საბჭოთა საქართველოს ქომაგთა კარგა დიდი ნაწილის აღშფოთებაც გამოიწვიეს. აღშფოთებულთ მიაჩნდათ, რომ „სკუადრა აძურას“ ვილაც კამერუნთან ლაღი ბურთაობით მართებდა შთამბეჭდავად გამარჯვება, თუმცა ეს სხვა თემაა. ერთი სიტყვით, კამერუნი იტალიას შეხვდა და... მე-60 წუთზე გოლი გაუშვა. გოლი საბჭოთა ქართველების აზრით და სინამდვილეშიც, არ იყო ლაღი და შთამბეჭდავი. პირდაპირ რომ ვთქვათ, იტალიელ ფორვარდ გრაციანის გაუმართლა, რადგან არც მეტი, არც ნაკლები, თვით თომას ნკონოს დაუცდა ფეხი და ბურთი ვერ მოიხელთა...

აი, ასე! მართალია, შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ ერთ წუთში მბიდამ ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ამით კამერუნი შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა, იტალიელებმა კი მათთან შედარებით ერთადერთი გოლით მეტის გატანის და გაშვების გამო გააღწიეს შემდეგ ეტაპზე და... საბოლოოდ მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

და თომას ნკონო ბარსელონის „ესპანიოლში“ გადავიდა, სადაც ჯამში 8 წელიწადი გაატარა, ოღონდ ეგ იყო, ნაკრებში დაკარგა ადგილი, რადგან იქ, ძელებს შორის, ჟოზეფ-ანტუან ბელი ჩადგა, ხოლო ბელიზე თავშივე მოგახსენეთ, რომ მე-20 საუკუნის უძლიერეს აფრიკელ მეკარედ დაასახელეს.

1988 წელს ჩვენი წერილის გმირმა უეფას თასის ფინალშიც ითამაშა, ოღონდ იქ, ორი შეხვედრის ჯამში „ესპანიოლს“ ლევერკუზენის „ბაიერმა“ მოუგო, ნაკრებში კი ნკონო 1990 წელს დაბრუნდა იტალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე. შეგახსენებთ: 1990-ში კამერუნელთა საინტერესო გუნდს რუსი მწვრთნელი ვალერი ნეპომნიაშჩი წვრთნიდა.

იმ მუნდიალზე კამერუნელები მეოთხედფინალში მნიშვნელოვანწილად „შავი იაგუარის“ წყალობით მოხვდნენ, ხოლო ოთხი წლის შემდეგ — ეჰ, რას იზამ, ის რასაც ახლა ვიხსენებთ, ნკონოს ბიოგრაფიის ნაწილია და დამალვა არ გამოვა — 1994 წლის ჩემპიონატზე, რომელიც მოგეხსენებათ, აშშ-ში ჩატარდა, ნკონომ რუსებთან შეხვედრაში ექვსი გოლის გაშვებაში (გეხსომებათ, მაშინ ექვსიდან ხუთი ოლეგ სალენკომ შეაგდო) ირიბი მონაწილეობა მიიღო.

მართლაც უცნაური ამბავი მოხდა მაშინ: ჩვენი გმირი უკვე 39 წლისა გახლდათ და ამერიკაში სათადარიგოდ იყო წასული. კამერუნელების კარში ბელი იდგა. მაგრამ აი, მოვიდა რუსეთთან შეხვედრის დღე (კამერუნს იმ წელიწადს ფრანგი ანრი მიშელი ედგა სათავეში) და ნაკრების ბაზაზე ტელეფონი აწკრიალდა. მთავრობიდან რეკავდნენ: კარში ნკონო უნდა იდგეს! — ასეთი იყო განკარგულება.

მიშელმა ნკონოს გადახედა, ვეტერანმა ასეთ თამაშზე კატეგორიული უარი განაცხადა, მაგრამ ბელიც უკვე გატეხილი ჩანდა. შედეგად, კარში სრულიად მოუმზადებელი ჟაკ სონგო ჩადგა.

შედეგი კი ზემოთ ვახსენეთ.

დაბოლოს, სამშობლოში თომას ნკონო ცნობილია, როგორც ძლევამოსილი ჯადოქარი. ასე, რომ თუ გნებავთ მისი დიდი მეკარეობა ზებუნებრივ ძალებს დააბრალეთ, თუმცა, როგორც გენებოთ.

**პაპუნა კედია**





თომას ნკონოს ერთიხანობა ჯადოქრობისთვის სდევნიდნენ

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 2 | დერბი-ლიდსი | 2.15 | 3.2 | 3.15 | 1.28 | 1.27 | 1.58 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 4 | ბრენტფორდი-ბარნსლი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 22:45 | 5 | კოლჩესტერი-უოლსოლი | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 14 | ნოტსი-მაკლსფილდი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 22:45 | 299 | იოვილი-როჩდეილი | 1.5 | 3.6 | 6.3 | 1.05 | 1.21 | 2.29 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 21:45 | 425 | ჰალიფაქსი-ბარტონი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 37 | ლივინგსტონი-ჰართსი | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 139 | მარსელი-სოშო | 1.65 | 3.2 | 5.5 | 1.08 | 1.26 | 2.02 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 140 | ლიონი-რენი | 1.4 | 3.6 | 8.5 | 1.0 | 1.2 | 2.52 |
| 22:30 | 141 | ნანტი-სტ.ეტიენი | 2.1 | 2.9 | 3.5 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 22:30 | 142 | ნიცა-ლილი | 2.7 | 2.7 | 2.75 | 1.35 | 1.36 | 1.36 |
| 22:30 | 143 | პსჟ-ისტრი | 1.45 | 3.5 | 8.0 | 1.02 | 1.22 | 2.43 |
| 22:30 | 144 | სტრასბური-მონაკო | 3.4 | 3.0 | 2.15 | 1.59 | 1.31 | 1.25 |
| 22:30 | 145 | აიაჩო-ტულუზი | 2.6 | 2.8 | 2.8 | 1.34 | 1.34 | 1.39 |
| 22:30 | 146 | ოსერი-ბასტია | 1.4 | 3.8 | 8.0 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| 22:30 | 147 | ბორდო-მეცი | 1.75 | 2.9 | 5.2 | 1.09 | 1.3 | 1.86 |
| 22:30 | 148 | ლანსი-კაენი | 1.75 | 3.0 | 5.1 | 1.1 | 1.3 | 1.88 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 160 | ამიენი-სედანი | 2.3 | 2.7 | 3.25 | 1.24 | 1.34 | 1.47 |
| 22:00 | 161 | ანჟე-ლავალი | 2.25 | 2.7 | 3.3 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 22:00 | 162 | კლერმონი-ბრესტი | 2.2 | 2.7 | 3.45 | 1.21 | 1.34 | 1.51 |
| 22:00 | 163 | კრეტეი-გრენობლი | 2.25 | 2.7 | 3.3 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 22:00 | 164 | ნიორი-შატორუ | 2.55 | 2.7 | 2.85 | 1.31 | 1.34 | 1.38 |
| 22:00 | 165 | რეიმსი-ლე ავრი | 1.95 | 2.8 | 4.2 | 1.14 | 1.33 | 1.67 |
| 22:00 | 166 | ლე მანი-გენიონი | 1.85 | 2.9 | 4.2 | 1.12 | 1.28 | 1.71 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 167 | გენგამი-მონპელიე | 2.15 | 2.8 | 3.45 | 1.21 | 1.32 | 1.54 |
| 22:00 | 168 | ნანსი-დიჟონი | 1.6 | 3.1 | 5.8 | 1.05 | 1.25 | 2.02 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 22:30 | 179 | მონსი-ანდერლეხტი | 5.8 | 3.6 | 1.5 | 2.22 | 1.19 | 1.05 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 260 | უოტფორდი-ლივერპული | 4.5 | 3.3 | 1.7 | 1.9 | 1.23 | 1.12 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 261 | მანჩესტერი-ჩელსი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 294 | სტრანრარი-ეარი | 1.7 | 3.6 | 3.9 | 1.15 | 1.18 | 1.87 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 295 | რომა-ფიორენტინა | 1.7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 23:00 | 296 | მილანი-უდინეზე | 1.45 | 3.6 | 6.6 | 1.03 | 1.18 | 2.32 |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 297 | კალიარი-სამპდორია | 2.2 | 2.9 | 3.2 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 23:00 | 298 | ატალანტა-ინტერი | 4.6 | 3.1 | 1.75 | 1.86 | 1.27 | 1.11 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 422 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1.45 | 3.9 | 6.3 | 1.05 | 1.17 | 2.4 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 423 | ნუმანსია-ატლეტიკო | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 23:00 | 424 | სევილია-ოსასუნა | 1.7 | 3.3 | 4.65 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 262 | დორდრეხტი-დენ ბოსხი | 2.55 | 3.2 | 2.4 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 22:00 | 263 | იგლსი-ტილბურგი | 3.7 | 3.4 | 1.8 | 1.77 | 1.21 | 1.17 |
| 22:00 | 264 | პსვ-ვოლენდამი | 1.1 | 7.0 | 13.0 | 1.0 | 1.01 | 4.55 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 265 | დენ ჰააგი-ტვენტე | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:00 | 266 | ბრედა-უტრეხტი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:00 | 267 | ოსი-ვალვაიკი | 4.0 | 3.4 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 22:45 | 268 | ალკმაარი-ფეიენოორდი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 269 | აიაქსი-ჰერენვენი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **პორტუგალია. თასი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 21:45 | 272 | ნასიონალი-ბოავიშტა | 2.55 | 3.2 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 270 | აკადემიკა-მარიტიმუ | 2.55 | 3.2 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 271 | სეტუბალი-გიმარაეში | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 22:45 | 273 | ბენფიკა-სპორტინგი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 274 | ამადორა-პენაფიელი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| | | **ინგლისი. Vans Trophy** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 287 | ჰერეფორდი-რექსემი | 2.75 | 3.2 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 22:45 | 288 | ოლდემი-ტრანმერი | 2.6 | 3.2 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 22:45 | 289 | ლეიტონი-როვერსი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:45 | 290 | საუთენდი-სუინდონი | 2.5 | 3.2 | 2.45 | 1.4 | 1.23 | 1.38 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 303 | ფრიოლუნდა-იურგორდენი | 1.55 | 4.4 | 3.2 | 1.14 | 1.04 | 1.85 |
| 21:00 | 304 | ბრიუნესი-მორა | 2.1 | 4.2 | 2.1 | 1.39 | 1.04 | 1.39 |
| 21:00 | 305 | მოდო-ტიმრე | 2.1 | 4.3 | 2.2 | 1.41 | 1.07 | 1.45 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 19:30 | 321 | იოკერიტი-ესპოო | 1.3 | 4.5 | 5.5 | 1.0 | 1.05 | 2.47 |
| 19:30 | 322 | ლუკო-იუვესკიულე | 1.6 | 4.4 | 3.2 | 1.17 | 1.06 | 1.85 |
| 19:30 | 323 | სეიპა-ესეტი | 2.35 | 4.2 | 2.0 | 1.5 | 1.08 | 1.35 |
| 19:30 | 324 | ტურკუ-კერპეტი | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 19:30 | 325 | პელიკანსი-ტაპარა | 3.2 | 4.4 | 1.6 | 1.85 | 1.06 | 1.17 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 337 | ვიტკოვიცე-პლზენი | 1.85 | 4.2 | 2.65 | 1.28 | 1.08 | 1.62 |
| 19:00 | 338 | ზლინი-სპარტა | 2.0 | 4.2 | 2.3 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 19:30 | 339 | ზნოიმო-ტრჟინეცი | 1.4 | 4.6 | 4.2 | 1.07 | 1.04 | 2.19 |
| 19:30 | 340 | ლიტვინოვი-დუკლა | 1.25 | 5.0 | 6.0 | 1.0 | 1.03 | 2.72 |
| 19:30 | 341 | კლადნო-კარლოვი ვარი | 1.75 | 4.3 | 2.8 | 1.24 | 1.07 | 1.69 |
| 20:00 | 342 | ლიბერეცი-პარდუბიცე | 2.05 | 4.3 | 2.3 | 1.38 | 1.08 | 1.49 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 343 | სლავია-ვსეტინი | 1.4 | 4.7 | 4.3 | 1.07 | 1.05 | 2.24 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი 25 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 358 | ნიტრა-ჟილინა | 1.75 | 4.2 | 2.9 | 1.23 | 1.09 | 1.71 |
| 19:00 | 359 | ზვოლენი-პოპრადი | 1.35 | 4.5 | 5.0 | 1.03 | 1.06 | 2.36 |
| 19:00 | 360 | დუბნიცა-კოშიცე | 5.0 | 4.6 | 1.3 | 2.39 | 1.03 | 1.01 |
| 19:00 | 361 | მიკულაში-სკალიცა | 1.5 | 4.7 | 3.35 | 1.13 | 1.03 | 1.95 |
| 19:30 | 362 | სლოვანი-ტრენჩინი | 1.75 | 4.2 | 2.9 | 1.23 | 1.09 | 1.71 |
| | | **ჰოკეი. გერმანია 25 იანვარი** | | | | | | |
| 21:30 | 373 | ფრანკფურტი-კასელი | 1.4 | 4.6 | 4.3 | 1.07 | 1.05 | 2.22 |
| 21:30 | 374 | ნიურნბერგი-დიუსელდორფი | 1.5 | 4.5 | 3.6 | 1.12 | 1.05 | 2.0 |
| 21:30 | 375 | კიოლნი-ვოლფსბურგი | 1.45 | 4.5 | 3.6 | 1.09 | 1.03 | 2.0 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია 25 იანვარი** | | | | | | |
| 21:45 | 389 | ლოზანა-კლოტენი | 2.3 | 4.2 | 2.0 | 1.48 | 1.06 | 1.35 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი 25 იანვარი** | | | | | | |
| 13:00 | 403 | მაგნიტოგორსკი-ნეფტეხიმიკი | 1.3 | 4.6 | 5.0 | 1.01 | 1.03 | 2.39 |
| 13:00 | 404 | ს.იულაევი-ნოვოკუზნეცკი | 2.45 | 4.3 | 1.9 | 1.56 | 1.07 | 1.31 |
| 13:00 | 405 | ლადა-სიბირი | 1.25 | 4.8 | 5.5 | 1.0 | 1.01 | 2.56 |
| 13:00 | 406 | ხიმიკი-ცსკა | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 13:00 | 407 | დინამო-აკ ბარსი | 1.9 | 4.5 | 2.35 | 1.33 | 1.05 | 1.54 |


| 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი
TELCREDITI

10 42 00 24


# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

CROCO BOOKMAKERS კროკო

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

## ავსტრალიის ღია პირველობა 2005

### მელბურნი. მაგარსაფარი

**მეოთხე წრე**

**კაცები**

**ენდი როდიკი (2, აშშ)** — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:3 7:6 (8:6) 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია)** — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 7:5 3:6 1:6 7:6 (7:3) 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (26, რუსეთი)** — გილერმო კანიასი (26, არგენტინა) 6:3, 6:4, 6:3

**ქალები**

**ლინდსი დევენპორტი (1, აშშ)** — კაროლინა შპრემი (13, ხორვატია) 6:2, 6:2; **ნატალი დეში (19, საფრანგეთი)** — ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) 6:4, 6:2; **პატი შნიდერი (12, შვეიცარია)** — ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) 6:7 (6:8), 7:6 (7:4), 6:2; **ალიშა მოლიკი (10, ავსტრალია)** — ვინუს უილიამსი (8, აშშ) 7:5 (7:3)

# არასოდეს თქვა, მორჩა


REUTERS მელბურნიდან

ალიშა მოლიკმა თვით ვინუს უილიამსი დაჩოგნა

**გუშინდელი** დღე ორი რამით გამოირჩა — მასპინძელთა ორსქესოვანი გალაღებითა და რუსული მდედრიონის მორიგი დამცრობით. იმ გულშემატკივარს მიჯრით აამღს მათმა კაცმა და ქალმა ჯილებმა — კისკასმა ლეიტონ ჰიუიტმა და ღონიერმა ალიშა მოლიკმა, რომელთაგანაც საჩოგბურთო თვალსაზრისით ეს დასტურ გამორჩეული ნაცია მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს მოუგებელი შინაური სლემტიტულების დაბრუნებას მოელის და ამიტომ მათ ჰალალად და ბარაქიანად ქომაგობს. თუმცა ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ეს ქომაგობა — განსხვავებით თუნდ როლანგაროსობისას პარიზელთა გულშემატკივრობისგან — არასოდესაა მიმართული მათიანთა მეტოქეების წინაალმდეგ და თავისი ობიექტურობის, არააგრესიულობის გამო, ჰაი-ჰაი, რომ სადღეგრძელებელ სიტყვებსაც იმსახურებს.

ახლა კი საკუთრივ მატჩებზე. დღის მშვენება უდავოდ თავის პირველ სადიდმუზარადო მეოთხე წრეში მოთამაშე 18 რაფაელ ნადალისა და თავისი პირველი მელბურნული მეოთხედფინალისთვის მოჩივნავე 23 წლის ჰიუიტის 3 საათიანი და 53-წუთიანი შეხლა იქცა. ორგზის სლემტიტულოსანი ოზბიჭი მძლავრი და ჯომარდი მალიორკელი მუჩაჩოსგან შეუპოვარ ბრძოლას ელოდა, თუმცა პირველი სეტი საკმაოდ იოლად მიითვალა და მეორეშიც 2:0 გაიჭრა წინ. აი, აქ კი უკვე ნადალის დრო დადგა და მან ისე შემმუსვრელად აამუშავა თავისი ყუმბარმტყორცნი ხელწალმა, რომ 2:3-დან ზედიზედ ცხრა გეიმში იმარჯვა და მესამე სეტში უკვე თავად დაწინაურდა 5:0. მეტოქის მიერ აქეთ-იქით რბენით გახვითქულ ჰიუიტს მესამე სეტის ბოლოსკენ წინის წინა კვირაში სიდნეიში დაჭიმული ბარძაყის კუნთი წამოსტკივდა და იძულებული გახდა, კორტზე ექიმი გამოეხმო. საქმე მისთვის არც ამის მერე გაიოლებულა და მთელი მეოთხე სეტის განმავლობაში მას თითქმის ბოლომდე მოუხდა თავისი რესურსების მობილიზება. ნადალი ხშირად იყო მიჯნასთან, როცა მასპინძლის გასატეხად თითოორი ქულალა სჭირდებოდა, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შეძლო და ტაიბრეიკზე დათმო კიდეც. მეხუთე სეტის დაწყებისთანავე კი უკვე აშკარა შეიქნა, რომ ესპანელი მოყმე გამოფიტულიყო. მას საზარდულის გამოზელვაც დასჭირდა და იმის მიუხედავად, რომ ერთიორჯერ მერე სახიფათოდ ისევ გამლიგინა, სადავეებუკუპყრობილ ჰიუიტს, ვისაც გამარჯვების სიახლოვის შეგრძნებამ მხრებში სანაპიროდან მობერილი ბრიზივით დაუბერა, ლელის გასატანი ტემპი აღარ დაუგდია.

ნამატჩევს ლეიტონი თავის თავსაც აქებდა და ძლეულ მეტოქესაც. თავის თავს იმიტომ, რომ ეს უკვე მერამდენად მოახერხა, ბეწვის ხიდზე გამავალს ჩოგანი არ აჰკანკალებოდა და გადამწყვეტი გათამაშებები მოეგო, ხოლო მეტოქეს მისი ჯიგრიანობის, შემართულობისა და თვალშეუდგამი პოტენციის გამო. რაკიღა როლანგაროსული ნელი კორტები მისი სტილისთვის ზედგამოჭრილია, ეგ ბიჭი უკვე წლეულსვე იმ ტურნირის ერთ უმთავრეს ფავორიტად მიმაჩნია, დასძინდა. და ჩვენც იძულებულნი ვართ, ლეიტონის ნამატჩევი ორივე სადღეგრძელო ავიტაცოთ და თავად მისი შესაშური, არასოდეს-თქვა-მორჩა სულისკვეთებითაც კიდევ ერთხელ ალვფრთოვანდეთ და რაფაელ ნადალსაც დავულოცოთ სავარაუდოდ მართლაც საშთამბეჭდავო მომავალი. სხვათა შორის, აქამდე მას როლანგაროსობაზე ერთხელაც არ უთამაშია და მისი ასეთი ამჟამინდელი ბარაქიანი ბურთაობის შემხედვარე არ უნდა იყოს ძნელი გამოსაცნობი, რომ პარიზულ სეფეთიხნარზე ეს ჭაბუკი ბევრ ქისტს მააჭრის მარჯვენას. თუმცა თავად შარშანდელი დევისთასის გმირი — და შეგახსენებთ, ფინალში მან ოთხ სეტში თავად ენდი როდიკი დაიმორჩილა — მაინც მოკრძალებულობს და ამბობს, რომ უახლოეს გეგმებად ზეოცეულსა და მერე ზეთხუთმეტეულში აღზევება აქვს დასახული. რის აღსრულებასაც ჩვენ მას — რასაკვირველია — წრფელი გულებითა და გადაპიპინებული განსხვავებულებით ვუსურვებთ.

რაც შეეხება ალიშა მოლიკს, ამ მუშა ოზგოგოს ერთგვარად მიტევებაც უნდა ვთხოვოთ, რადგანაც ამ რამდენიმე დღის წინ მის საამტურნირო შანსებში გადაჭარბებულად შევეჭვდით და შინაურულად ასეც კი ვთქვით, ალიშა არა გრიშაო. ჰოდა, ახლა ალიშასაც ბოდიშს ვუხდით და გრიშასაც. ეგ მით უფრო, რომ უილიმსდათა ბოლოდროინდელი და-ქარიზმა-კნინების მიუხედავად, მათი ძლევა მაინც ნიშნობრივი მოვლენის სტატუსს ინარჩუნებს და თანაც მაშინ, თუკი ამის შედეგად არა მარტო მშობლიური, არამედ საერთოდ რაგინდარა სლემტურნირის მეოთხედფინალში პირველად გადიხარ. ჰოპმანის თასისა და სიდნეობის მერე ალიშა წლეულს უკვე მესამე ტურნირია, დაუმარცხებლად თამაშობს და თუ გავითვალისწინებთ, რომ 2001 წლის აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ თავის პირველ (და ჯამში მეხუთე) სლემტიტულზე მონადირე ვინუსს მართლაც ჯეროვანი, ძალუმი და იმავდროულად გონივრული ბურთაობით აჯობა, ეგებ ცუდი შანსები არც მეოთხედფინალში ამქრის პირველოსან ლინდსი დევენპორტთან დაპირისპირებისას ჰქონდეს. ამ უკანასკნელმა გუშინ უპრობლემოდ ჩაურბინა უსახელო ხორვატ კაროლინა შპრემს და ნამატჩევს ძირითადად იმაზე საუბრობდა, რომ მისი აზრით სირცხვილია, ავსტრალიის ღია პირველობა ასე ადრესეზონისას რომ ტარდება. მისი თქმით, იდეალური იქნებოდა, ეს ტურნირი გვიან თებერვალში ან მარტში გამართულიყო. საკუთრივ თავისი გარჯით კი კმაყოფილობდა და კარგ ნიშნად მიიჩნევდა იმას, რომ მეოთხედფინალამდე მიღწევის პარალელურად სულ უფრო უკეთ თამაშობს. თუმცა ეგებ ეს იმიტომ ხდება, რომ აქამდე ერთი ხეირიანი მეტოქეც არ გადაჰყრია? ვნახოთ, პასუხს ამ კითხვაზე მისი და მოლიკის ხვალინდელი თამაში გაგვცემს.

სხვაფრივ — დევენპორტი ძალიან კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო იმ გარემოებითაც, რომ გუშინდელმა დღემ ორი უმთავრესი კონკურენტი, შარშანდელი როლანგაროსობის ჩემპიონი მისკინა და შარშანდელივე ორგზის სლემფინალისტი ელენა დემენტიევა გამოაკლო. მისკინამაც და დემენტიევამაც ისეთ მეტოქეებთან დათმეს, ჩვეულებრივ რომ არ უთმობენ ხოლმე და როგორც მერე სამართლიანად შენიშნავდნენ, ყველაფერში ისევ საკუთარი ჩოგნები, უფრო სწორედ კი თავები უნდა დაადანაშაულონ. ამის საილუსტრაციოდ ისიც გამოდგება, რომ მისკინამ ორი სეტის განმავლობაში 45 უნებლიე შეცდომა დაუშვა, დემენტიევამ კი იმ ორი საათისა და 43 წუთის განმავლობაში, რაიც პატი შნიდერთან ბურთაობისას კორტზე დაჰყო, უნებლიედ სულაც 63-ჯერ მიჰქარა. რუსული ჩოგბურთისთვის ეს ძალიან ცუდი დღე იყოო, ამბობდა მერე მისკინა და იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალთა ტურნირის შერჩენილი უკანასკნელი რუსგოგონები — სვეტლანა კუზნეცოვა და მარია შარაპოვა ნახევარფინალში გასასვლელად დღეს ერთმანეთს უნდა შეხლოდნენ, გამოვა, რომ მრისხანე რუსული დივიზიიდან ტურნირს ბოლო ოთხეულს მხოლოდ ერთი დივიზანტი მიაღწევს. რაც შეეხებათ მათ მძლეველთ, 25 წლის დეში თავის 37-ე სლემტურნირზე გამოდის და მხოლოდ პირველად შეძლო, მეოთხედფინალისკენ გაევაკებინა. შნიდერი კი ავსტრალიობის შარშანდელი ნახევარფინალისტია და უკვე იმას ამბობს, ნაკარიერევს სწორედ აქ უნდა დავსახლდეო, რაიც მისი შარშანდელი და წლევანდელი იქაური გარჯის მერე გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს.

ისე კი, რუსთა ღირსება გუშინ მხოლოდ რუსმა ნიკოლაი დავიდენკომ დაიცვა, ვინაც მას შემდეგ, რაც წინა წრეში მოულოდნელად აოტა ტიმ ჰენმანი, ახლა ასევე მოულოდნელად იოლად გასცდა მე-12 ნომრად განთესილ გილერმო კანიასს. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან დღემდე პირველად მოხდა, ორმა რუსმა ავსტრალიობის ბოლო რვეულს რომ უწია. მეოთხედფინალში დავიდენკო ენდი როდიკს შეხვდება და, იმის მიუხედავად, რომ ენდიბოიმ გუშინ თუმც სეტისწაუგებლად, მაგრამ მაინც ერთობ არადამაჯერებლად მოუგო გერმანელ კოლშრაიბერს, რუსის შთამბეჭდავი მელბურნული სვლა სწორედ იმ შეხვედრით უნდა დამთავრდეს.

**ლევან ძელაურაძე**


REUTERS მელბურნიდან

ლეიტონ ჰიუიტი


REUTERS მელბურნიდან

რაფაელ ნადალი

# თვრამეტწლიანთა კვირა

## ფაჩულიას მილუოკიში ბურთიც აქვს და მოედანიც

**გასული კვირის მთავარი ამბავი, რა თქმა უნდა, გიორგი ცინცაძის დებიუტი იყო პერმის „ურალ გრეიტის“ შემადგენლობაში. საქართველოს ნაკრების 18 წლის გამთამაშებელი ერთი კვირის წინ შეუერთდა ურალელებს, მაგრამ წინა ოთხშაბათს „ბეშიქთაშის“ წინააღმდეგ ლეგიონერთა ლიმიტს გამო ვერ ითამაშა. მაშინ პერმელთა ლიტველი მწვრთნელი ვოლდემარას ხომიჩუსი ჩვენიანს დაჰპირდა, რომ რუსეთის ჩემპიონატის მომდევნო მატჩში ათამაშებდა და სიტყვა შეასრულა**

**ცინცაძეს** სადებიუტოდ მეტად არახელსაყრელი მეტოქე შეხვდა — დაუმარცხებელი მოსკოვის ცსკა. მოგეხსენებათ, არმიელები წლეულს ევროპირველობისთვის იბრძვიან და პერმში მათი თამაში გასეირნებას ჰგავდა. „ურალ გრეტი“ გვარიანად განადგურდა, თუმც ჩვენთვის უფრო საინტერესო ცინცაძის შეიდქულიანი დებიუტია, მით უფრო, რომ მან ეს ბებერი კონტინენტის ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელის მარკუს ბრაუნის წინააღმდეგ მოახერხა.

გიომ 18 წუთი ითამაშა და თავისიანთაგან შედეგიანობაში მხოლოდ იურიცა გოლემაცსა და „სამარიდან“ მასთან ერთად წამოსულ იგორ ვიალცევს ჩამორჩა, რომლებსაც თავიანთ წილ 12-12 ქულა მოუგროვდათ.

წინა კვირაში არა, მაგრამ ცოტა ხნით ადრე ასევე დიდი დებიუტი ჰქონდა ცინცაძის ტოლსა და თანაამპლუელ გიორგი მამაცაშვილს. აქამდე „მამაცა“ პარიზული „რასინგის“ დუბლიორებში გამოდიოდა, ახლა კი უკვე ძირითადი გუნდის განაცხადშიც გამოჩნდა.

მამაცაშვილმა ფიბა-ევროლიგის მატჩში ითამაშა ბერძნული „ლიმასოლის“ წინააღმდეგ, ხოლო ამ ევროტურნირის წინა შეხვედრაში კვიპროსულ „ლიმასოლთან“ სათადარიგო იყო.

ზემოთ 18-წლიანებზე მოგახსენებდით ოლიმპიელი მანუჩარ მარკოიშვილის თავს მართლაც გამორჩეული ამბავი მოხდა: ლიუბლიანელები ადრიატიკის ლიგის მატჩში შინ ხორვატიულ „შიბენკას“ ეთამაშებოდნენ და 18 წლის ქართველმა მოედანზე მისთვის სარეკორდოდ ბევრი, 40 წუთი გაატარა.

„საშო ოზბოლტი იყო დაშავებული და ამდენს ხანს ამიტომ ვითამაშე. ისიც კარგია, რომ მწვრთნელი მე მენდო და არა, ვთქვათ, ჯოზეფ მაკლინტონს ან მარიან მაჩეს — გვითხრა მარკოიშვილმა ლიუბლიანადან — მეორე მხრივ, მართალია საკმარისი დრო მქონდა, მაგრამ ჩემი თამაშით მთლად კმაყოფილი არ ვარ, რაკი მხოლოდ 6 ქულა მოვაგროვე. შეტევაში გამიჭირდა, დაცვაში კი მართლაც კარგად ვიდექი.“

ამ მატჩში ექვსი ქულა მოუგროვდა ვლადიმერ ბოისასაც, რომელმაც უჩვეულოდ ცოტა ხანი, 24 წუთი ითამაშა. „ოლიმპიამ“ ქულით წააგო „შიბენკასთან“ და ადრიატიკული ლიგის ლიდერობას გამოემშვიდობა.

ლიუბლიანელებს კიდევ უფრო ცუდად აქვთ საქმე ევროლიგაში, სადაც ბოლო ტურში მორიგი მარცხი იწვნიეს. ამჯერად იტალიური „სიენასგან“. ამ მატჩში ბოისა 13 ქულით ლიდერთაგანი იყო, მაგრამ რად გინდა, საერთო საქმეს ამან ვერ უშველა. მარკოიშვილმა კი შეიდწუთიანი ბურთაობა უქულოდ დაასრულა.

გვალვიანი პერიოდი უდგას დიჟონელ ვიქტორ სანიკიძეს, რომელსაც საახალწლო არდადეგების შემდეგ ქულების გროვება უჭირს. „ვიკამ“ ფიბა-ევროლიგის მატჩში 16 წუთი ითამაშა უკრაინული „აზოვმაშის“ წინააღმდეგ. მართალია, ქულა ვერ მოიხვეჭა, ხუთი მოხსნა არცთუ ურიგო მონაგარია. ამ შაბათს კი სანიკიძე საერთოდ არ გამოჩენილა მოედანზე, როცა მისმა „დიჟონმა“ „ბურგი“ გააცამტვერა.

თუ შედეგიანობაზეა საქმე, შეხეთ შემონდ უილიამსს, „უნიკსის“ სულსა და გულს, ყაზანელთა გუნდის ამერიკულ-ქართულ მოტორს. ომარმა (უილიამსის მეორე სახელია) სანკტ პეტერბურგში მთელ თავის საკალათბურთო ცოდნას მოუხმო და იქაური „დინამო“ პირადად დაამარცხა. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 38 წუთში 28 ქულა უთავაზა პიტერელებს და ჩაროზად 7-7 მოხსნა-პასიც მიითვალა.

დიდი შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის პივოვარნელი დავით უგრეხელიძე, რომელსაც 18 წუთში ხორვატიულ „სპლიტთან“ 4-4 ქულა-მოხსნა დაუგროვდა, მისმა გუნდმა კი იოლად იმარჯვა. უგრემ ვერაფერი გააწყო ულების სათასო მატჩში ესპანური „ხუვენტუდის“ წინააღმდეგ და 12 უნაყოფო წუთი დაჰყო მოედანზე. „პივოვარნამ“ წააგო და ამ ტურნირის მერვედფინალში ვერ გავიდა.

სამაგიეროდ, ულების თასის პლეი ოფს უწია სერგო ათუაშვილის „შოლემ“, თუმც ეს დიდი ვერაფერი ამბავია ჩვენვის, რაკი ქართველ გოლიათს დიდი-დიდი სამი წუთი უთამაშია შოლელთა ძირითადი გუნდის მაისურით. ის ფრანგებს განაცხადის შესავსებად ჰყავთ და სანამ დალევინდება, დუბლიორებში ალვრევინებენ ოფლს.

ოკეანგაღმიდან კი სამი სრულიად განსხვავებული ამბავია: ვლადიმერ სტეფანია არსად არ ირიცხება და მუხლს მკურნალობს; ნიკა ცქიტიშვილი ისევ სკამზე ზის და დენვერელებს გაშვებას სთხოვს; აი, ზაზა ფაჩულია კი იღწვის და წარმატებითაც.

ოკაენგაღმელი ქართველების პრობლემა მუდამ სათამაშო დროის სიმწირე გახლდათ და იგივე აწუხებდა შარშან ფაჩულიასაც, მაგრამ ახლა ის უკვე მიღებული კაცია „მილუოკიში“ და თავის წილ 15, 20 თუ 25 წუთს ყოველთვის თამაშობს. ეგაა, იშვიათი ჩავარდნები მასაც ახასიათებს, თუმცა „ხარირმების“ მწვრთნელი ტერი პორტერი ისეთი გულუბრყვილო არაა, ახალგაზრდა ქართველი ამის გამო აითვალწუნოს. ამაზეა ნათქვამი, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანიო...

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ევროლიგა | სიენა | ს | 70:74 | 29 | 13 | 3 | 0 | 1 |
| | | ადრიატიკის ლიგა | შიბენკა | შ | 73:74 | 24 | 6 | 4 | 1 | 2 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ევროლიგა | სიენა | ს | 70:74 | 7 | 0 | 1 | 0 | 0 |
| | | ადრიატიკის ლიგა | შიბენკა | შ | 73:74 | 40 | 6 | 6 | 3 | 2 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A. საფრანგეთი | ბორგი | შ | 71:49 | არ უთამაშია | | | | |
| | | ფიბა-ევროლიგა | აზოვმაში | ს | 66:90 | 16 | 0 | 5 | 0 | 1 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | სუპერლიგა (რუს.) | დინამო (ს. პეტ.) | ს | 88:84 | 40 | 28 | 7 | 7 | 2 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | სპლიტი | შ | 93:68 | 18 | 4 | 4 | 0 | 2 |
| | | ულების თასი | ხუვენტუდი | ს | 61:70 | 12 | 0 | 2 | 1 | 1 |
| სერგო ათუაშვილი | შალონი | ულების თასი | ჰაპოელი | შ | 63:67 | არ უთამაშია | | | | |
| გიორგი მამაცაშვიმლი | პარიზი | ფიბა-ევროლიგა | ლიმასოლი | ს | 58:64 | არ უთამაშია | | | | |
| გიორგი ცინცაძე | ურალ გრეიტი | სუპერლიგა (რუსეთი) | ცსკა | შ | 63:104 | 18 | 7 | 2 | 2 | 1 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | დენვერი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | მემფისი | შ | 92:82 | 9 | 2 | 3 | 0 | 0 |
| | | | სიეტლი | ს | 116:110 | არ უთამაშია | | | | |
| | | | გოლდენ სტეიტი | ს | 97:107 | 10 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | დეტროიტი | შ | 89:86 | 17 | 7 | 1 | 0 | 1 |
| | | | შარლოტი | ს | 99:92 | 21 | 8 | 9 | 1 | 1 |
| | | | ნიუ ჯერსი | ს | 90:96 | 11 | 2 | 1 | 0 | 0 |

**შენიშვნა:** წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



მილუოკელი დესმონდ მეისონი ნიუიორკლებში გზას მიიკაფავს

# ღელვა დიდ ქალაქში

## ზაზა ფაჩულიამ ნიუ იორკი ჩააცამეტა

— 23 იანვარი —

**ნიუ იორკი 96:101 მილუოკი**

**ნიუ იორკი:** მარბერი (33), კროუფორდი (20)

**მილუოკი:** უილიამსი (10), რედი (14), მეისონი (22), სმიტი (14), გაძურიჩი (10 ქულა, 14 მოხსნა); *ფაჩულია* (24 წუთი, 13 ქულა, 7 მოხსნა), ჯეიმსი (8), ვან ჰორნი (7), კუკოჩი (3)

**დალასი 95:93 დენვერი**

**დალასი:** ნოვიცკი (35 ქულა, 11 მოხსნა)

**დენვერი:** მილერი (16 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), ბაკნერი (6), ენტონი (14), მარტინი (19 ქულა, 11 მოხსნა), კემბი (4); ბოიკინსი (11), ელსონი (10), ვაიტი (6), ჯონსონი (5), რასელი (2), *ცქიტიშვილი* (4 წუთი, 0 ქულა)

**მაიამი 97:68 ნიუ ორლეანი**

**მაიამი:** ვეიდი (18)

**ნიუ ორლეანი:** დიკაუ (16)

**საკრამენტო 73:103 სან ანტონიო**

**საკრამენტო:** ბიბი (13)

**სან ანტონიო:** დანკანი (23)

**ფინიქსი 113:105 ნიუ ჯერსი**

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (33), ნეში (30)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (32), კიდი (23 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

**სიეტლი 122:105 იუტა**

**სიეტლი:** ლუისი (36), დანიელსი (24)

**იუტა:** ბუზერი (20 ქულა, 12 მოხსნა)

**ტორონტო 103:92 შარლოტი**

**ტორონტო:** პიტერსონი (26)

**შარლოტი:** ბრეზეცი (19 ქულა, 12 მოხსნა)

„ნიუ იორკ ნიქსის“ მარადმომლიმარი პრეზიდენტი აიზია ტომასი კბილების კრაჭუნით ელოდა „მილუოკისთან“ შეხვედრის დასასრულს. თითქოს ყველაფერი გააკეთა, სეზონის დაწყებამდე ლამის ნახევარი შემადგენლობა შეცვალა, ამ უქმეებზე კი მწვრთნელ ლენი ვილკენსის ნაცვლად გუნდს მისი ასისტენტი ჰერბ უილიამსი დაუნიშნა თავკაცად... ახალი მწვრთნელის ხელში გუნდი თითქოს გამოცოცხლებული ჩანდა, მაგრამ... ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქის გუნდი უხეირო „მილუოკის“ მძლეველს მაინც არ ჰგავდა.

„ნიუ იორკ ნიქსმა“ ბოლო ათი შეხვედრიდან მეცხრე წააგო და ორი კვირის წინ ატლანტიკის დივიზიონის კენწეროში არცთუ მყარად მჯდომი მთელი ოთხი საფეხურით დაქვეითდა. მარცხით დაწყებამ თითქოს ვერ გატეხა „ნიქსის“ ნედლი თავკაცი ჰერბ უილიამსი — „ლენი უფრო შეტევაზე აკეთებდა აქცენტს, მე დაცვის გაძლიერებას ვეცდები“ გასაგებია, მაგრამ მისმა დაცვითმა თეზისებმა და ნახაზებმა ხელი ვერ შეუშალა „მილუოკის“, 48 წუთის განმავლობაში მონაგარი 100 ქულისთვის გადაეჭარბებინა.

„ნიქსის“ ძლევაში 13-ქულიანი წვლილი შეიტანა „ბაქსის“ ქართველმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ, რომლის დამწყებ ხუთეულში დაწინაურება სავარაუდოდ კარგა ხნით კი გადაიდო, მაგრამ ზაზა სხვათა თადარიგშიც კომფორტულად გრძნობს თავს და ამაზე მისი სტატისტიკაც მეტყველებს.

ერთი სიტყვით, ფაჩულია ვარსკვლავი არაა, მაგრამ მან იპოვა თავისი ადგილი პლანეტის უძლიერეს კალათბურთელებს შორის, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მასზე ერთი წლით უფროს (21 წლის) ნიკოლოზ ცქიტიშვილზე. ნიკას „დენვერი“ გუშინწინ „დალასს“ სტუმრობდა და დაძაბულ შეხვედრაში ცქიტიშვილს ოთხი წუთით ერგო მოედანზე ყოფნის პატივი — სამწუხაროდ, მისი მონაგარია 0 ქულა, 0 მოხსნა, 0 პასი...

„დენვერი“ კი დამარცხდა, ბოლო ათ შეხვედრაში მეშვიდედ და კვლავაც გვარიანად ჩამორჩება პლეი ოფისთვის მებრძოლ გუნდებს.

დევთა ჭიდილი იგეგმებოდა დასავლეთ ქალაქებში, მაგრამ ყველამ არ გაამართლა: ლაღი და ყოჩაღი „საკრამენტო“ ისე შერცხვა საკუთარი ქომაგების თვალწინ, როგორც არასდროს ამ ბოლო ათწლეულში. „კინგზი“ ერთი შეხედვით ტოლს არ უნდა უდებდეს „სან ანტონიო სფურზს“, მაგრამ აბანოში სხვა გამოჩნდა. ტიმ დანკანმა და კომპანიამ არად ჩააგდეს 17 ათასი მაყურებლის ყიჟინა და, ჰოი სირცხვილო, 30 ქულით დასცეს კრის ვებერი, პეჯა სტოიაკოვიჩი, მაიკ ბიბი და ძმანნი მათნი. ერთმა ბიბიმ მოიხადა ვალი და მეორემ ბრედ მილერმა (10 ქულა), სხვათა მონაგარი კი ორნიშნა ციფრს ვერ ასცდა.

**კოტე ყორშია**

მსოფლიოს XIX ჩემპიონატი. ვაჟები

ტუნისი. 23 იანვარი - 6 თებერვალი

# ერაძემ ფრით დაიწყო



REUTERS

მასპინძლებმა ჩემპიონატი ანგოლელთა რბევით დაიწყეს

| A ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| ტუნისი 39:23 ანგოლა | ხორვატია 36:23 არგენტინა |
| საფრანგეთი 44:16 კანადა | ესპანეთი 41:22 იაპონია |
| დანია 27:23 საბერძნეთი | შვედეთი 49:16 ავსტრალია |
| **B ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| ჩეხეთი 34:34 ისლანდია | გერმანია 28:25 ეგვიპტე |
| რუსეთი 28:22 ალჟირი | სერბეთი 34:26 ყატარი |
| სლოვენია 34:17 ქუვეითი | ნორვეგია 34:12 ბრაზილია |

**აფრიკა** მეორედ მასპინძლობს ხელბურთელთა მსოფლიო ფორუმს, ექვსი წლის წინათ პირველობა ეგვიპტეში ჩატარდა. განვლილ 18 ჩემპიონატში ტიტული ოთხ-ოთხჯერ მოიპოვეს რუმინელმა და შვედმა ხელბურთელებმა, თუმც რუმინელთა ოქროს ხანა (1961-74) ვილას ახსოვს. ისეთი კრიზისი აქვთ, უკვე მეორე ჩემპიონატია, ფინალურ ტურნირში საერთოდ ვერ ხვდებიან, დანარჩენი ტიტულიანები კი ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნის ოთხ ქალაქში ორკვირიან ბრძოლას შეუდგნენ.

24 ნაკრები ოთხ ჯგუფშია განაწილებული. სამ-სამი საუკეთესო მეორე, ასევე წრიულ და ექვსგუნდა ეტაპზე გააგრძელებს თამაშს მედლებისთვის.

პირველ დღეს სენსაცია არ მომხდარა, ფავორიტებმა ადვილად გაიმარჯვეს. ასევე იოლად დაამარცხა გახსნის მატჩში მასპინძელმა ტუნისმა თანაკონტინენტელი ანგოლა.

ყველაზე დაძაბული იყო ჩეხეთ — ისლანდიის დაპირისპირება. ჩეხებს წინა ჩემპიონატში არ უთამაშიათ, კუნძულელებმა კი მეშვიდე ადგილი დაიკავეს და 2004 წლის ათენის ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ ისლანდიელთა კარს კვლავინდებურად, ყოფილი ჩვენი თანამემამულე როლანდ ერაძე იცავს. 33 წლის გოლკიპერმა თავის კოლეგა ბირკირ ივარ გუდმუნდსონზე ორჯერ მეტი დრო კი დაყო მოედანზე, მაგრამ გოლებიც ბლომად გაუშვა, მეტოქეთა 34 ნასროლიდან მხოლოდ ხუთის მოგერიება შეძლო. ისიცაა სათქმელი, რომ როლანდს 14-ჯერ გაუტანეს პირისპირ გასულმა ჩეხებმა, რაც ისლანდიელთა დაცვის სისუსტეზე მეტყველებს.

დასაწყისში ჩეხები დაწინაურდნენ მიხაელ ბრუნას და დავიდ იურიჩეკის უპასუხო გოლებით და მეოცე წუთამდე ერთი-ორი ბურთით ლიდერობდნენ, მერე კი ოთხ წუთში ზედიზედ ხუთჯერ ზუსტად ტყორცნეს და შესვენებაზე ექვსგოლიანი მარაგით წავიდნენ — 20:14. საფინალო სასტვენამდე 18 წუთით ადრე სხვაობა ცხრამდე გაიზარდა — 29:20 და პრაქტიკულად საქმეც მოთავებული ჩანდა, მაგრამ ერაძის გუნდელებმა, უმთავრესად უბერებელ ოლაფურ სტეფანსონისა და გუდიონ სიგურდსონის მცდელობით ბოლოსწინა წუთზე ანგარიში გაათანაბრეს — 33:33. დარჩენილ დროში მოწინააღმდეგეებმა კიდევ თითოჯერ გაიტანეს და დაძაბულ-დრამატული შეხვედრა ფრედ დასრულდა.

სტეფანსონმა 11 გოლი მიითვალა, სიგურდსონმა რვა, ჩეხებმა კი თანაბრად იყოჩაღეს — იურიჩეკი (7), ბრუნა (6), ალექსანდრ რადჩენკო (6), ფილიპ ჟიხა (6).

საწყის ტურში შედეგიანობით გამოირჩა რუსთა კაპიტანი, 2000 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ედუარდ კოკშაროვი. 29 წლის ფორვარდმა, რომელიც ევროპის საუკეთესო კლუბ სლოვენიის „პივოვარნაში" თამაშობს, ალჟირელების კარში 18 ნატყორცნიდან 15 მიზანს მოარტყა.

**გია ახალაძე**



# ჩიტის ბუდე ფულის ბუდედ იქცეულა

ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მონაცემებით, საბერძნეთის დედაქალაქში ამ შეჯიბრების გასამართავად 9 მილიარდი ევრო გახდა საჭირო. პეკინის ოლიმპიური თამაშების კაპიტალდაბანდება კი ათენისაზე ნაკლები არ იქნება

Beijing 2008

**პეკინის** ოლიმპიური თამაშებისთვის ინვესტიციების მოცულობამ ოლიმპიური ინფრასტრუქტურის 55 ობიექტზე უკვე შეადგინა 22 მილიარდი იუანი, (2,65 მილიარდი დოლარი), სულ კი დაგეგმილია 387 ოლიმპიური ობიექტის მშენებლობა.

ახლა, როგორც FINANSIAL TIMES იუწყება, პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მსოფლიოს უდიდესი კომპანიები მილიარდ დოლარზე მეტს გამოყოფენ. ამ 6 კომპანიას შორის არის „ფოლკსვაგენი", „ჩინეთის ბანკი" და „ჩაი მობილი". მათ პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთან უკვე გააფორმეს თითქმის 6-მილიონიანი ხელშეკრულება.

აქვე შედარებისთვის ვიტყვით, რომ სოლტ ლეიკ სიტისა და ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის სპონსორებმა 603 მილიონი დოლარი გამოყვეს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მარკეტინგული კომისიის წარმომადგენელი გერჰარდ ჰაიბერგი ამბობს, რომ ოლიმპიადა-2008 სპონსორული დახმარების თვალსაზრისით ყველა ფინანსურ რეკორდს დაამხობსო.

ამგვარად, პეკინისთვის ოლიმპიური თამაშების მიცემა ფინანსური თვალსაზრისით სრულიად გამართლებული აღმოჩნდა.

ყოველივე ამის მიუხედავად, „ოლიმპიადა-2008"-ის საორგანიზაციო კომიტეტი თანმიმდევრულად და განუხრელად მიჰყვება 2003 წელს არჩეულ გზას, რომელიც ითვალისწინებს თამაშებისთვის მოსამზადებელი თანხების მაქსიმალურად ეკონომიურ ხარჯვას. მაგალითად, მთავარი ოლიმპიური სტადიონის „ჩიტის ბუდის" პროექტი უკვე მისი მშენებლობის დასაწყისშივე მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც სწორედ ფინანსების ეკონომიამ განაპირობა. ამის შედეგად მშენებლებმა უარი თქვეს „მოძრავი სახურავის" იდეაზე. პროექტში შეიტანეს სხვა პრინციპული ცვლილებებიც.

ექსპერტთა თქმით, ახალი პროექტი გამოდგა ძველზე ეკონომიური, უხიფათოც და რაციონალურიც.

ამიტომაც, ფიქრობენ სხვა ოლიმპიური ბაზების მშენებლობათა პროექტების გადახედვასაც.

ამჟამად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან მიმდინარეობს შესაბამისი მოლაპარაკებები, რომლებიც მთელი ოლიმპიური ინფრასტრუქტურის 2007 წლის ბოლომდე მწყობრში ჩასდგომას უკავშირდება. სწორედ ეს ვადა დაუთქვეს პეკინელებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 116-ე სესიაზე, რომელიც შარშან ზაფხულში გაიმართა.

„პეკინი-2008"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ ციმ განაცხადა, რომ მშენებლობის შემჭიდროებული ვადები არ აისახება ოლიმპიური ბაზების მშენებლობათა ხარისხზე და მსოფლიოს სტანდარტების შესატყვისი იქნებაო.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# ჩირაღდანი გამოჩნდა, ცეცხლიც წლეულს იქნება

**იტალიაში** მოეწყო გაისად ტურინში გასამართი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოს, ოლიმპიური ჩირაღდნის პრეზენტაცია. მასში მონაწილეობდნენ იტალიელი ფიგურული სრიალის ოსტატები, 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორები ბარბარა ფუზარ-პოლი და მაურიციო მარგალიო.

ჩირაღდანი კომპანია „პინინფარინის" მიერ განსაზღვრული სტანდარტების მიხედვითაა დამზადებული. მისი სიმაღლე 77 სანტიმეტრია, დიამეტრი — 10,5 ხოლო წონა — 1,85 კილოგრამი.

სულ დამზადდა 12000 ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელსაც საესტაფეტოდ გამოიყენებენ.

ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა დაიწყება წლეულს 8 დეკემბერს რომში და დასრულდება 2006 წლის 10 თებერვალს ტურინში ოლიმპიური თამაშების გახსნისას. პირველი მეჩირაღდნე იქნება ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მარათონში სტეფანო ბალდინი. მათ შორის, ვისაც ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში მონაწილეობის პატივი შეხვდება, იქნება ცნობილი მოდელიორი ჯორჯ არმანიც.

**ავთანდილ ტყვიშელი**



ბარბარა ფუზარ-პოლი, მაურიციო მარგალიო და ანდრეა პინინფარინა ოლიმპიური ჩირაღდნის პრეზენტაციაზე

# ლენოქს ლუისი ვიტალი კლიჩკოს წასაქცევად ბრუნდება



კლიჩკო — ლუისის ჯახს კიდევ ვიხილავთ

**მძიმე წონის** კრივში ახალი ინტრიგა იხლართება.

ვიტალი კლიჩკომ ლენოქს ლუისს შეუთვალა, მზად ვარ და გელოდებიო. ლენოქსს კრივისთვის თავი დანებებული აქვს: 19 თვის წინ მან ექვს რაუნდში წარბის გახეთქვით სძლია ვიტალის.

და საერთოდაც, ძნელია, რომ კაცს, რომელმაც კრივში 200 მილიონ დოლარზე მეტი იშოვნა და ხელთათმანები კედელზე ჩამოკიდა, სრულფასოვანი დაბრუნება მოსთხოვო. თუმცა, ვიტალის მსოფლიოს ყოფილი უდავო და ნამდვილი ჩემპიონის ბოლმა ჰკლავს და ამიტომაც შეუთვალა: „უთხარით ლენოქსს, რომ როცა უნდა და სადაც უნდა!"

წლეულს სექტემბერში ლუისი 40 წლისა მოიყრება და მას სთავაზობენ 30 მილიონ დოლარზე მეტს, რათა საბჭოს (ვბკ) პრეტენდენტის რანგში შეხვდეს ვიტალი კლიჩკოს, ამ ვერსიის ჩემპიონს.

ჰოდა, ლუისს უთქვამს: „როგორც ყველას, ფული მეც მჭირდება. ეს ძალიან კარგი წინადადება ჩანს და მისი უარყოფა არ ეგების."

ლუისის 14-წლიანი პროფესიული კარიერის ბოლო ბრძოლა სწორედ 33 წლის ვიტალი კლიჩკოსთან იყო. ლუისმა წარბი გაუხეთქა კლიჩკოს, რომელიც ბრძოლის შეწყვეტის წინ ქულებით უგებდა ჩემპიონს. კლიჩკო ამ მარცხმა ძალიან გაამწარა. სარწმუნო წყაროების ცნობით ლუისი უკვე კრებს თავის ძველ სამწვრთნელო გუნდს, რომელიც მას კლიჩკოსთან ბოლო ბრძოლისას ედგა მხარში.

„ფორმაში შესასვლელად ცხრა თვე მინდა" — ასე ამბობს ახლოწარსულის საუკეთესო მოკრივე. „დეკემბერში კლიჩკო — დენი უილიამსის ბრძოლას რომ ვუყურებდი, კინაღამ ავენთე."

ლუისი მზადებას ჩვეულ ადგილას დაიწყებს: პენსილვანიაში, პოკონოს მთებში დასცემს ბანაკს. ვიტალი კლიჩკოს კი მაისში ბრძოლა აქვს, ტიტული უნდა დაიცვას ჰასიმ რაჰმანისაგან. მოკლედ, დიდი ბრძოლა მზადდება.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 14-30 იანვარი

VIII ტური

| | | |
|---|---|---|
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 0,5:0,5 |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 0,5:0,5 |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 |
| ლაზარი ბრუზონი (კუბა) | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0:1 |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 |
| ნაიჯელ შორტი (ინგლისი) | ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) | 1:0 |
| ალექსანდ მოროზევიჩი (რუსეთი) | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 1:0 |

# ბულგარელი ავიდა, კუბელი ჩავიდა

**ლიდერთა** სამეული პირველი ტურიდან არ შეცვლილა, ისინი მხოლოდ საფეხურებს იცვლიდნენ. პირველ პოზიციაზე ინგლისელი მაიკლ ადამსი ერთხელ იყო, უნგრელი პეტერ ლეკო სამჯერ, ხოლო ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი უკვე მეოთხედ მოექცა სათავეში და ამჯერად მარტოდმარტო. მერვე ტურში ბულგარელმა სტომატოლოგმა სუპერტურნირის აღმოჩენას კუბელ ლაზარო ბრუზონს მოუგო, მისმა კონკურენტებმა კი ყაიმები ითამაშეს და ერთპიროვნული ლიდერობაც იგდო ხელთ.

ახალგაზრდა კუბელმა საწყის ტურებში ყოჩაღად დაიწყო ასპარეზობა, რამდენიმე სასახელო პარტია ითამაშა და მეხუთე ტურში ლიდერ ოთხეულშიც შეაბიჯა, თუმც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს მისი ჯომოლუნგმა ყოფილა და მომდევნო ტურებში კუნძულელმა მიწაზე იწყო დაშვება. როგორც ჩანს, 22 წლის ლაზაროს ნორჩი ტვინი არ აღმოჩნდა მზად ტიტანებთან საომრად და ახლა იგი მეშვიდე ადგილზეა.

ბრუზონმა და ტოპალოვმა მშვიდად გაითამაშეს დებიუტი, საკუთარ ხელმწიფეებს სიმაგრეები აუგეს და მე-7 სვლაზე როქი გააკეთეს. მშვიდობიანი მარშის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა იერიშისათვის დაიწყეს მზადება და მე-11 სვლაზე მტერს პირველი ბულგარელი ეტაკა, შავი კუთი თეთრ ხელმწიფეს წინ მდგარი მხედარი მოუკლა და თამაშიც გაიხსნა. მეტოქეებმა თავიანთი ლაშქრის უმეტესი ნაწილი იერიშისათვის მოამზადეს და პატარ-პატარა შეტაკებები დაიწყო. პირველი შებრძოლებისას კუბელმა იძალა, მეტოქეს ორი პაიკი მოუკლა და ლაზიერით მის სამეფობელოშიც ღრმად შეიჭრა, თუმც სულ ეს იყო. ამ დროში ტოპალოვიც არ იყო უქმად, შავი მხედრები საბრძოლველად დაგეშა და თეთრი ხელმწიფის გამაგრებულ ალაგს 28-ე სვლაზე შეუტია. მიიერიშე მხედრებს ლაზიერი წაუძღვა წინ, თეთრების ხელმწიფის დაცვის ზღუდე მიუნგრია და ხუთიოდ სვლაში ბრძოლა წააგებინა.

ყაიმით დაასრულეს შეხვედრა ფიდეს რეიტინგის მოწინავეებმა, მე-2 ადგილზე მყოფმა ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა და მე-4 პოზიციაზე გამაგრებულმა რუსმა ვლადიმერ კრამნიკმა.

ბობოლებმა დებიუტში სიცილიური დაცვა გაითამაშეს. მალე ანანდი გააქტიურდა, მსუბუქი ფიგურები ფრონტის წინა ხაზზე გამოიყვანა და კრამნიკს შეუტია. რუსმა ადვილად მოიგერია ინდოელის არმია, შემდეგ კი თვითონ ეტაკა მეტოქეს და ფიგურების გაცვლა დაიწყო. თამაში ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა, თუმც საბედისწერო შეცდომა არავის დაუშვია და 27-ე სვლაზე პარტია ყაიმით დასრულდა.

**ლაშა გეგეჭკორი**



28-ე სვლაზე
შავებმა თეთრებს შეუტიეს



ანანდმა და კრამნიკმა ქულა ძმურად გაიყვეს

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 5,5 ქულა |
| 2. | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 5,0 |
| 3. | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 5,0 |
| 4. | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 5,0 |
| 5. | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 4,5 |
| 6. | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 4,5 |
| 7. | ლაზარო ბრუზონი (კუბა) | 4,0 |





იოკოძუნა ასასიორიუ თავისი ჯალაბით

# კოკაიმ კარი გაიჯახუნა

**სუმოს** უმაღლეს დივიზიონ „მაკუტის" იანვრის თხუთმეტდღიანი ბაშო ისე ჩაჭიდავდა, ოცდამეერთე საუკუნის პირველ იოკოძუნას, მონღოლ „ცისფერ დრაკონს" ქულა რაა, ისიც არავისთან დაუკარგავს. 24 წლის ცენტნერნახევრიანმა ჭაბუკმა ასასიორიუმ ტოკიოს „კოკუგიკანის" სასახლეში მისთვის საიუბილეო, მე-10 იმპერატორის თასი აიტაცა. აქამდე დაუმარცხებლად ასასიორიუს ჩემპიონობამდე მხოლოდ ორჯერ მიეღწია, ზედიზედ მოგებული ბრძოლების რეკორდი კი ოცდათხუთმეტი ყოფილა და დიდკაცის სამომავლო ჩანაფიქრიც ადვილი მისახვედრია.

თასის მფლობელის ბედი ბაშოს დასრულებამდე სამი დღით ადრე გადაწყდა. ჩემპიონობაზე მეოცნებე სუმიტორები ლიდერს გვარიანად ჩამორჩნენ და ოდენ დადებითი ბალანსის მაქსიმალურად ზრდაზე გადაერთვნენ. საბოლოოდ 19 წლის მონღოლი კომუსუბი ხაკუხო და 28 წლის გაოძეკებული სეკივაკე ტოჩიაძუმა იოკოძუნას ოთხი ქულით ჩამორჩნენ.

დადებით ბალანსზე ოცნება ფინიშამდე რამდენიმე დღით ადრე დაასრულა ლევან ცაგურიამ. სეზონის საშინელი სტარტის შემდეგ კოკაიმ მდგომარეობა ოდნავ კი გამოასწორა, მაგრამ სანუკვარ მერვე გამარჯვებამდე მიღწევა ვეღარ მოახერხა. შაბათ-კვირას „შავმა ზღვამ" „კოკუგიკანის" მაყურებელთა სიმპათია ექსკომუსეი ტაკიმისაკარი და მავანი ბუიუძანი დაამწუხრა.

სეზონის მეორე ბაშო მარტში გაიმართება და აქამდე დასავლეთის მესამე მაეგასირად წოდებული ქართველი მას შედარებით დაბალი რეიტინგით დაიწყებს.

**ოთარ გაღლაძელიძე**



# აკუბრა და დრიზაბონი

ჩოგბურთის ლეგენდა მარტინა ნავრატილოვა, ცხადია, ავსტრალიაშია, სადაც იქაური ღია პირველობა მიმდინარეობს. როდ ლეივერის არენის ახლოს მარტინა ზუსტად ისეთია, როგორც ძველი ავსტრალიელი მეცხვარე. ამ პალტოს დრიზაბონი ჰქვია, ამ ქუდს კი აკუბრა. ეს ტრადიციული ოზ-ბუშმენური სამოსია.




ბილიარდს კი თამაშობს, მაგრამ სინამდვილეში ჩოგბურთელია და თანაც ინდოეთის კვალობაზე გვარიანად მაგარიც. სანია მირზა პირველი ჩოგბურთელი ქალია ინდოეთის ისტორიაში, დიდი სლემის ტურნირის მესამე რაუნდს რომ უნია და იქ სერენა უილიამსთან დამარცხდა. ავსტრალიის ღია პირველობიდან მობრუნებულს ბომბეიში პატივიც მიაგეს.

# ასე ტკბილი

ეს თაჩდაუნია: ის განსაკუთრებით ტკბილი მაშინ არის, როცა შენსავით ჯანმაგარ ბიჭს ხელჩართულში აჯობებ და ხაზს აქით ბრძოლით გააღწევ. პიტსბურგელი ჯერომ ბეტისი (36) სწორედ ამას ახერხებს „ნიუ ინგლენდთან“ თამაშში.



# ამერიკელი ბოჯემიის ცაში

ჩეხურ ლიბერეცში გახურებულა სათხილამურო ორჭიდის მსოფლიოს თასი. შეჯიბრი ტრამპლინიდან ხტომას და 7,5-კილომეტრიან თხილამურობას მოიცავს. პირველსავე დღეს ჩრდილო ბოჰემიის ცაში მთელი 128.5 მეტრი უფრენია ამერიკელ ტოდ ლუდვიკს. ამ პირველ შედეგს მისთვის თხილამურობაში პირველი პოზიციიდან დაწყების საშუალება მიუცია.




REUTERS ლიბერეციდან

# პირველი მილოცვა

ამ ორმა მაგარმა ბრასში მაგრად გაცურა: 100-მეტრიანი წყალგზა ყველაზე სწრაფად უკრაინელმა ოლეგ ლისოგორმა (მარცხნივ) გაცურა და ამერიკელმა ედ მოზესმაც პირველმა მიულოცა მჯობნს. ბერლინში კი მოკლე დისტანციებზე ცურვის მსოფლიო თასი მიმდინარეობს.




REUTERS ბერლინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლაშა თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ლორჯამია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიმერიკი, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, თამარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუნჯაშვილი, ბადრი კვიცლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაკა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფილფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge